# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 4 მარტი 2006 №48 (2670) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტოპმიოლერის ორი ENTTAUSCHUNG

...პირველი იმედგაცრუება, რომელიც მალტაში განვიცადე, ის იყო, რომ ბევრი ფეხბურთელი არ ჩამოვიდა. მეორე იმედგაცრუება კი მოლდოვის 21-წლამდელთა ნაკრებთან 1:5 წაგება იყო.

...მიჭირს, ამ გუნდს ნაკრები ვუწოდო. ყველას გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი და ახლა არ შემიძლია გითხრათ, რა სახე ექნება ნაკრებს სასექტემბროდ.

...საქართველო პატარა ქვეყანაა, მაინცდამაინც დიდი არჩევანი არაა და დასაკარგი ფეხბურთელები არ გვყავს.

...ამაყი ვარ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ და შემიძლია, ამ ბიჭებს უკეთესად თამაში ვასწავლო...

...ყველას ნახვა მინდა, ვისაც ქართული გვარი აქვს და ფეხბურთს თამაშობს.

## ლევან კობიაშვილი: ტოპი ნაკრებში თამაშს არავის შეეხვეწება



...დავრწმუნდი, რომ კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს წარმატებით თამაში შეუძლია.

...მოედანზე მყოფმა ყველა ფეხბურთელმა ყველაფერი ზუსტად იცოდა. იცოდა, ამა თუ იმ სიტუაციაში რომელ პოზიციაზე ყოფილიყო, შეტევისას თუ დაცვისას რა უნდა ეკეთებინა.

...ერთბაშად ამდენი ჭაბუკის და, ფაქტობრივად, 17-წლამდელთა ნაკრების გამოძახება, ვფიქრობ, არ შეიძლება.

...ტოპმიოლერი ნაწყენია იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც მალტაზე არ ჩამოვიდნენ. მწვრთნელი ნაკრებში თამაშს არავის შეეხვეწება.

...როცა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი შეკრება და მატჩებია, ამ დროს ყველა ნაკრებში უნდა იყოს.

## გოლი, რომელიც გატანამდე ვნახე



გიორგი ნოზაძე

*ვალეტა, თბილისი*

...ნუ ეწყინებათ და, გუშინ გამთენიისას თბილისში დაბრუნებული ფეხბურთელებიდან ნახევარზე მეტი კარგა ხანს ვეღარ ამოიკითხავს საკუთარ გვარს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულთა სიაში, სულ ცოტა, მიმდინარე შესარჩევ ციკლში და, მაქსიმუმ, სანამ ჩვენი ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი იქნება...

...არ შეიძლება, შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები მაშინ გიყვარდეს, როცა „სანაკრებო პროცენტი" დაგჭირდება ან რომელიმე მენეჯერისთვის ცინცხალი სანაკრებო მატჩის ფირი.

...ტოპმიოლერისთვის მალტა ლაკმუსზე მეტად შოკი იყო. ვინ იცის, რამდენი ხანია, ასეთი სირცხვილი არ ეჭამა.

...გადაჭარბების გარეშე ვამბობ: მალტის ნაკრების კარში მე-17 წუთზე გასული გოლი მატჩის დაწყებამდე ვნახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლაუს ტოპმიოლერი: მიჭირს, ამ გუნდს ნაკრები ვუწოდო



*საქართველოს ნაკრებმა მალტის ტურნირი მოილია — კლაუს ტოპმიოლერის ხელში ჩვენებმა მოლდოვასთან 1:5 წააგეს, მასპინძლებთან კი 2:0 მოიგეს და ბევრი კითხვაც გაგვიჩინეს.*

*ვინ ვინ და, ამის თაობაზე ყველაზე უკეთ, ცხადია, თავად ჰერ კლაუსი გვიპასუხებდა და ჩვენც მას გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ. თავიდანვე გეტყვით, რომ ტოპისგან, ფაქტობრივად, ის გავიგეთ, რასაც ველოდით...*

— რას იტყვით მალტის ტურნირზე — როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრების თამაშს?

— პირველი იმედგაცრუება, რომელიც მალტაში განვიცადე, ის იყო, რომ ბევრი ფეხბურთელი არ ჩამოვიდა. ლეგიონერების ნაწილმა კლუბებიდან გათავისუფლება ვერ შეძლო, ზოგიც ავად იყო. ჩვენზე დიდად იმოქმედა გაფრენისას აეროპორტში შექმნილმა პრობლემებმაც. მეორე იმედგაცრუება კი მოლდოვის 21-წლამდელთა ნაკრებთან 1:5 წაგება იყო. მადლობა ღმერთს, ბოლო თამაში კარგად ჩავატარეთ და მასპინძლებს მოვუგეთ.

— რამ გაგაღიზიანათ ნაკრების თამაშში და პირიქით, რა მოგეწონათ?

— ტურნირი კარგად არ დაგვიწყია. მართალია, მოთამაშეები ტექნიკურები არიან, მაგრამ ტაქტიკაში ძალიან მოიკოჭლებენ. მათ ბევრი რამ აქვთ სასწავლი და, რაც მთავარია, თავადვე უნდა ჰქონდეთ სურვილი, რომ მოუმატონ.

— მალტაზე წასვლამდე გვითხარით, რომ ეს გუნდი თქვენი არ იყო. ახლა რა აზრის ხართ ამ ნაკრებზე?

— მიჭირს, ამ გუნდს ნაკრები ვუწოდო. ყველას გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი და ახლა არ შემიძლია გითხრათ, რა სახე ექნება ნაკრებს სასექტემბროდ. აგვისტომდე ყველაფრის დალაგება-დაწყობა უნდა მოვასწრო და ამისთვის ბევრი ამხანაგური მატჩი მჭირდება.

— ჩავთვალოთ, რომ მალტაზე თქვენი ქართული დებიუტი შედგა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმასაც დავამატებ, რომ ეს უფრო გაცნობა იყო. ფეხბურთელებმა უნდა გაიგონ, რას მოვითხოვ მე მათგან, როგორი თამაში მინდა... მათ წინსვლა უნდა შეძლონ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს ბიჭები საქართველოში საუკეთესონი არიან?

— მალტაზე 24 ფეხბურთელის გაცნობა მოვასწარი. მათზე კარგის თქმაც შემიძლია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი რამ აკლიათ, ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი და მე და ჩემი თანაშემწეები ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ 24-ით არ შემოვიფარგლოთ

— საქართველო პატარა ქვეყანაა, მაინცდამაინც დიდი არჩევანი არაა და დასაკარგი ფეხბურთელები არ გვყავს.

— ვისი რეკომენდაციით წაიყვანეთ ეს გუნდი მალტაზე?

— უკვე გითხარით, რომ ფეხბურთელთა უმეტესობას ჯერ არ ვიცნობ. ვიცნობდი კობიაშვილს, რომელმაც იმედი არ გამიცრუა და ძალიან დამეხმარა ბოლო თამაშში. ასევე კარგად ითამაშეს ხიზანიშვილმა და ასათიანმა მოლდოვასთან. აღმოვაჩინე რუსეთში მოთამაშე რევიშვილი, ასევე გავიცანი ცქიტიშვილი.

— გავიგეთ, რომ მოლდოვასთან წაგების მერე ფეხბურთელებთან ძალიან მკაცრი ლაპარაკი გქონდათ...

— რა თქმა უნდა, გავბრაზდი. ეს ხომ უდიდესი იმედგაცრუება იყო ჩემთვის. ეროვნულმა ნაკრებმა წააგო 21-წლამდელებთან, მაგრამ ამ მატჩში კარგად ითამაშეს კანკავამ და განუგრავამ. ისე კი, ამაყი ვარ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ და შემიძლია, ამ ბიჭებს უკეთესად თამაში ვასწავლო...

— ამ გუნდიდან მომავალში ბევრს დაეყრდნობით?

— არა, ჯერ კიდევ ბევრი მყავს სანახავი და ახლა ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. იმედი მაქვს, მომდევნო მატჩებში სხვა ლეგიონერებსაც გავიცნობ...

— ჩვენი აზრით, გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში ხართ. რას აპირებთ?

— მალტის შემდეგი ნაბიჯი ისევ და ისევ სხვა ფეხბურთელების გაცნობაა. აქტიურად ვითანამშრომლებ პრესასთანაც. ყველას ნახვა მინდა, ვისაც ქართული გვარი აქვს და ფეხბურთს თამაშობს.

— საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთაგან თუ მოგეწონათ რომელიმე?

— საქართველოს ჩემპიონატში ჯერჯერობით მხოლოდ ერთ თამაშს დავესწარი. ვეცდები, ამ მხრივ აქტიურად ვიმუშავო. ისიც ვიცი, რომ ბევრი კარგი მოთამაშეა რუსეთში. ვაპირებ მათი მწვრთნელებსაც დაველაპარაკო. რაც შეეხება უკრაინაში მოთამაშეებს, ჯერ კანკავას გარდა არავის ვიცნობ. აქვე გეტყვით, რომ ახლო კონტაქტი მექნება ლეგიონერთა კლუბებთან — „შალკესთან", „ვოლფსბურგთან", „მილანთან"... დღე-დღეზე კარლო ანჩელოტისაც შევეხმიანები და ვთხოვ, კახა კალაძეს ნაკრებში ჩამოსვლაზე პრობლემა არასოდეს შეუქმნას.

— როდის ჩამოხვალთ საქართველოში?

— მე და პრეზიდენტს ჯერ კიდევ გვაქვს რამდენიმე შეხვედრა დაგეგმილი ევროპაში. ვაპირებთ, ნაკრების სპონსორთან შეხვედრას, უნდა ჩავიდეთ ავსტრიაში და საბოლოოდ შევათანხმოთ პარაგვაისთან თამაშის დეტალები. ჯერ კიდევ მალტაზე ვფიქრობდი, თბილისში 10 მარტისთვის ჩამოვსულიყავი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შესათანხმებელია ნოდარ ახალკაცთან.

**ნინო სილაგაძე**





ფოტოები [illegible] მალტიდან

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVIII ტური

დიჟონი 0:0 გრენობლი
გენგამი 1:0 მონპელიე
ისტრი 2:1 შატორუ
ლავალი 1:1 გენიონი
რეიმსი 1:0 ბრესტი
სეტე 0:3 ლე ავრი
ვალანსიენი 1:1 კრეტეი
სედანი 1:1 ბასტია

## ინგლისი

ჩემპიონატი. XXXVII ტური

შეფილდი 0:0 ძრიუ

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXVII ტური

ნაიმეგენი 0:2 ალკმაარი

II დივიზიონი. XXXII ტური

კამბური 3:0 მაასტრიხტი
ემენი 0:2 ჰაარლემი
ალმერე 0:4 ოსი
სიტარდი 1:2 გრააფსხაპი
ჰელმონდი 2:1 ზვოლე
ტელსტარი 1:1 დორდრეხტი
ვენლო : ვოლენდამი *გადაიდო*
ეძელსიორი : ეინდჰოვენი *გადაიდო*
აპელდორნი : დენ ბოსხი *გადაიდო*
იგლსი : ვეენდამი *გადაიდო*

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIV ტური

ბოხუმი 0:1 ოფენბახი
ბურგჰაუზენი 1:3 ალენი
აუე 2:2 კოტბუსი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXV ტური

ოსნაბრიუკი — ქემნიცი *გადაიდო*
ზანქტ პაული — ვუპერტალი *გადაიდო*

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXII ტური

ტრირი : აუგსბურგი *გადაიდო*

## იტალია

სერია B. XXXI ტური

არეცო 3:2 ვერონა

სერია C1/A. XXV ტური

ტერამო 4:0 ჩიტადელა

## ბელგია

იუპილერლიგა
XXV ტური

შარლერუა 4:0 ბევერენი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XVII ტური

ვიდეოტონი 5:0 დიოშდიორი

## პოლონეთი

პირველი ლიგა
XVIII ტური

კრაკოვია 1:2 გურნიკი
ლეგია 1:0 ბელხატოვი

## პორტუგალია

სუპერლიგა
XXV ტური

გიმარაეში — სეტუბალი
*გვიან დამთავრდა*

## ამხანაგური მატჩები

ვენესუელა 1:1 კოლუმბია
მექსიკა 1:0 განა

ლაკმუსი — ამგვარად შეიძლება შეფასდეს მალტის საერთაშორისო ტურნირის მნიშვნელობა საქართველოს ნაკრებისთვის. ნუ ეწყინებათ და, გუშინ გამთენიისას თბილისში დაბრუნებული ფეხბურთელებიდან ნახევარზე მეტი კარგა ხანს ველარ ამოიკითხავს საკუთარ გვარს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულთა სიაში, სულ ცოტა, მიმდინარე შესარჩევ ციკლში და, მაქსიმუმ, სანამ ჩვენი ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი იქნება...



ქართველებმა ტურნირი მალტასთან მოგებით დაასრულეს

# გამორიცხვის მეთოდი

## ტოპმიოლერი გუნდის შემოკრებას გამოკლებით იწყებს

მალტა ნაკრების ვეტერანთათვისაც ლაკმუსი იყო. ამიტომ არც კუნძულზე არჩამოსულ ფეხბურთელთა ნაწილს გაუკვირდეს, თუ უკვე ერთი კვირის შემდეგ ალბანელებთან სათამაშოდ გამოძახების ფურცელი არ მიუვა.

პირველნი უფრო სიტუაციისა და გარემოებების მსხვერპლნი არიან. მათ კარგა ხანს უმტკიცებდნენ, „ეროვნულის კაცი“ ხარო და დაიჯერეს...

მეორენი? თავად ისინი არა, მაგრამ საქმისადმი მათი დამოკიდებულება დიდწილად არის ჩვენი ფეხბურთის (ნაკრების) დღევანდელი ყოფის მიზეზი. არ შეიძლება, შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები მაშინ გიყვარდეს, როცა „სანაკრებო პროცენტი“ დაგჭირდება, ან რომელიმე მენეჯერისთვის ცინცხალი სანაკრებო მატჩის ფირი. არც ის შეიძლება, თუნდაც არასწორად შედგენილი სანაკრებო სია განსასჯელად გაიხადო — ეს კაცი გერმანიიდან ამისთვისაა ჩამოსული და როგორმე თავად გაარკვევს, რა ხდება „ქართული ფეხბურთის აბანოში“. შენ კი უბრალოდ ფეხბურთელი ხარ, რომელიც გამოძახების შემთხვევაში, ვალდებულია, გამოცხადდეს ნაკრებში და შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღოს.

ლაკმუსის როლი ითამაშა მალტამ ფეხბურთის ფედერაციისთვისაც. მოლდოველებთან მატჩის მსვლელობისას და ნამატჩევს ხელმძღვანელობის რეაქცია იმედს გვაძლევს, რომ ნაკრებში ექსპერიმენტობანა დამთავრდა. აღდგომა და ხვალეო — ამაში ნოდარ ახალკაცს და მის თანაგუნდელებს უკვე ერთი კვირის შემდეგ შეუძლიათ დაგვარწმუნონ, როცა ალბანელებთან სპარინგისთვის შერჩეული გუნდის შემადგენლობა გაცხადდება.

ტოპი? მისთვის მალტა ლაკმუსზე მეტად შოკი იყო. ვინ იცის, რამდენი ხანია, ასეთი სირცხვილი არ ეჭამა და მოლდოველებთან მატჩის შემდეგ გაფაციცებული ელოდებოდა ვერდიქტს — დართავდნენ თუ არა მალტასთან თამაშის ნებას გაძევებულ მალხაზ ასათიანსა და ზურაბ ხიზანიშვილს. ამხანაგური ტურნირი კია, მაგრამ სამ დღეში მეორე თავსლაფი აშკარად აღარ სურდა. ორგანიზატორებმა ასათიანს და ხიზანიშვილს თამაშის უფლება არ მისცეს და მთავარი მწვრთნელი იძულებული იყო, მის ხელთ არსებული კადრებით გასულიყო ფონს.

გავიდა კიდეც. გადაჭარბების გარეშე ვამბობ: მალტის ნაკრების კარში მე-17 წუთზე გასული გოლი მატჩის დაწყებამდე ვნახე. ჩვენი გუნდის სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთ წევრს ფურცელი ეჭირა, რომელზეც თითოეული ფეხბურთელის ადგილი იყო მითითებული კობიაშვილის მიერ მარჯვენა ფლანგიდან სტანდარტების შესრულებისას — კობის შორეულ ძელთან უნდა ჩაეკიდა ბურთი და იქ კანკავას ეომა. გამოვიდა! დღეს ამგვარი „ფოკუსი“ თამაშის განმავლობაში ერთხელ გამოგვივა, ხვალ კი, თუ ტოპმიოლერის განკარგულებაში ყველა საუკეთესო შემსრულებელი იქნება, ორჯერ, სამჯერ, მეტჯერ...

მალტური ტურნირი ერთგვარ წყალგამყოფად უნდა იქცეს ჩვენს სანაკრებო ფეხბურთში და, ბუნებრივია, ერთი საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. ზოგადად კი, იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველო ტურნირზე 25 ფეხბურთელით წარდგა, რასაც არავითარ შემთხვევაში არ ჰქვია ნაკრები — მით უმეტეს, ეროვნული. რამდენიმე ვეტერანის არჩამოსვლამ მალტაში მყოფ გუნდის ლიდერების საბრძოლო განწყობაზე აშკარად იმოქმედა და მათში ბუნებრივად გაჩნდა უკმაყოფილების მომენტიც. იმოქმედა ჭაბუკებზეც — აშკარად მიხვდნენ, რომ შექმნილი მდგომარეობის მიზეზად იქცნენ და მათაც ყურები ჩამოყარეს. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მოლოდოვას თერთმეტი მარტოკაცი ეთამაშა და არა გუნდი. ნამატჩევს ტოპმიოლერი ერთი საათი ესაუბრა კობიაშვილს, ხიზანიშვილს, ასათიანს, ცქიტიშვილს, მუჯირს... საკუთარიც უთხრა, მათიც მოისმინა და იმედია, გაუგებრობას წერტილი დაესვა.

ერთი ნიშანდობლივი მომენტიც: ჩვენი ნაკრების შეხვედრებს მალტაზე „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაიაც ესწრებოდა. მასპინძლებთან მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით საუბრის საშუალება გვქონდა და იქ მყოფი ორი ჟურნალისტის სახით ალბათ მთელ ქართულ მედიას გვთხოვა: ამ კაცს (ტოპმიოლერს) იქნებ ერთი წლით მაინც მისცეთ მშვიდად მუშაობის საშუალება, ესენი კი ყველაფრის ღირსები არიანო და ხელი მოედნისკენ გაიშვირა, სადაც მოთამაშეთა თითქმის ნახევარი სწორედ „ზესტაფონის“ ფეხბურთელები იყვნენ...

**გიორგი ნოზაძე**



კოშმარული მოლდოვა — საქართველო




# ტოპის მალტა

აი, ჩაიარა მალტის ტურნირმა, რომელიც დაიწყო როგორც უვარგისობა, გაგრძელდა როგორც კატასტროფა და ბოლოსკენ მაინც რაღაცას დაემსგავსა.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც პირველად ნახა კლაუს ტოპმიოლერმა და რომელიც არანაირად არ იყო საქართველოს ნაკრები, გარეგნულად გააოცა და გააბრაზა, შინაგანად კი ალბათ გააოგნა და გააცოფა მისი მთავარი მწვრთნელი.

ტოპმიოლერმა საქმეში ნახა ის გუნდი, რომელიც შესთავაზეს და, ცხადია, ახალი გუნდის შექმნას დაიწყებს.

ბიჭების უმრავლესობასაც არ გაემტყუნება, მათ პირველად ნახეს ასეთი მწვრთნელი. მწვრთნელმა კი, ცხადია, პირველად ნახა ასეთი ნაკრები.

საქართველოს ამხანაგური აქვს დაგეგმილი ალბანეთთან და პარაგვაისთან და ალბათ ტოპი შეეცდება, ნაკრები მაქსიმალურად ნამდვილი იყოს.

როგორც ჩანს, მალტის ტურნირი მხოლოდ იმისთვის თუ იყო სასარგებლო, რომ ტოპის დაენახა, ყველაფერი ხელახლა, სუფთა ფურცლიდანაა დასაწყები. იმ სუფთა ფურცელზე რამდენიმე ძველი გვარიც ჩამოიწერება, რომელთა გარეშეც დღევანდელი ჩვენი ფეხბურთი წარმოუდგენელია, მაგრამ ახალი გვარები მხოლოდ მწვრთნელმა უნდა აღმოაჩინოს.

სხვა აზრი მალტის ტურნირს არ ჰქონდა. ეს რომ არ მომხდარიყო, იქ წასვლა საერთოდ ფუჭად ჩაითვლებოდა: მწვრთნელს კონტრაქტი თებერვლიდან ჰქონდა, ჰოდა, დაიწყო სამსახური, დაიწყო პირდაპირ ამ ტურნირით, სადაც დახვდა ნაკრები, რომელიც არ იყო ნაკრები და რომელიც აქამდე არასდროს ენახა. რა გინდა ტურნირზე, თუკი ასეთი პირობებით მიდიხარ? მაინც... ეგებ და, ბიჭებიდან რომელიმე... მაგრამ სანამ კაცმა არ იყვირა, ბიჭებმა, რომლებსაც როგორმე უნდა დარქმეოდათ ნაკრები, თავისი შეუბერეს. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ასეთი შებერვა მეტი აღარ იქნება.

ჩვენც ეგ გვინდა, სხვა კი არაფერი.

ტოპი ის კაცი არ არის, რომ რაღაცა შეაჩერო და იმანაც შეიჩეროს, თუნდაც გულწრფელად გეგონოს, რომ თურაშაულს აჩერებ. გასინჯვის ამბავი არ არის?

მგონი, ის, რაც აწი მოხდება საქართველოს ნაკრებში, ძალიან საინტერესო იქნება, მეტად და მეტად საინტერესო.

ტოპმიოლერი ლამის მთელმა საქართველომ, პრეზიდენტით დაწყებული, ხუთი წლის გულშემატკივრით დამთავრებული, დასვა ნაკრების საჭესთან. ამიტომ მოვლენათა განვითარება აქამდე არსებული ისტორიებისგან ძალიან განსხვავებული იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**



# მწვრთნელმა დახაზა

## ლევან კობიაშვილი: ტოპი არავის შეეხვეწება

*გერმანული „შალკეს" ქართველი ნახევარმცველი* ***ლევან კობიაშვილი*** *ორიოდ დღის წინ ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერის მარჯვენა ხელი იყო, გუშინ კი „შალკეს" ავტობუსში იჯდა და „ჰანოვერთან" სტუმრად სათამაშოდ მიემგზავრებოდა...*

— ძალიან დაღლილი ვარ, თითქმის ყოველ მესამე დღეს ვთამაშობ და ჩემი ნება რომ იყოს, ჰანოვერში არც წავიდოდი, დავისვენებდი, მაგრამ რა გაეწყობა, ხვალაც უნდა ვითამაშო — გვითხრა გუშინ ლევან კობიაშვილმა, ვისაც მალტის ტურნირზე ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლაური ეკეთა და მოედანზე ნაკრების წინამძღოლი იყო.

**— მალტაზე ახალი მწვრთნელის თავკაცობით პირველად ითამაშე. კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან. დავრწმუნდი, რომ კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს წარმატებით თამაში შეუძლია. ერთი, რატომაც გულნატკენი ვარ, ისაა, რომ ტურნირზე ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი არ ჩამოვიდა, ზოგს რა მიზეზი ჰქონდა, ზოგს — რა. ლეგიონერებიდან მალტაზე სულ ოთხნი ვიყავით, არადა, ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით ერთად პირველად უნდა გვეთამაშა.

**— ახალი და საინტერესო ტოპმიოლერის ტაქტიკურ მონახაზში რა დაინახე?**

— ყველა მწვრთნელს ხომ ფეხბურთზე თავისებური შეხედულება აქვს და, რა თქმა უნდა, არც ტოპმიოლერია გამონაკლისი. ის გერმანელია, თავადაც უკვე რამდენი ხანია, გერმანიაში ვთამაშობ და სასწაული და გასაკვირი მის მოთხოვნებში ჩემთვის არაფერი ყოფილა...

**— როგორც „შალკეს" ფეხბურთელმა არა, როგორც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, ისე გვიპასუხე: ნაკრებმა მალტაზე სხვანაირად და უწინდელისგან განსხვავებულად ითამაშა?**

— რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა. მოედანზე მყოფმა ყველა ფეხბურთელმა ყველაფერი ზუსტად იცოდა. იცოდა, ამა თუ იმ სიტუაციაში რომელ პოზიციაზე ყოფილიყო, შეტევისას თუ დაცვისას რა უნდა ეკეთებინა. ტოპმიოლერი ძალიან მცოდნე მწვრთნელია და, რაც მთავარია, სათქმელს ყველასთვის გასაგებად ამბობს. კიდევ, მალტასთან მატჩის წინ ტოპმიოლერს მეტოქის ყველა ფეხბურთელზე დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდა და ჩვენ, ფეხბურთელებიც შესაბამისად დაგვარიგა.

**— მალტაზე მყოფი ჩვენი კორესპონდენტის თქმით, ტოპმიოლერის მარჯვენა ხელი იყავი და მალტასთან მატჩისწინა მოთელვაც გუნდისთვის შენ ჩაგიტარებია...**

— მარჯვენა თუ მარცხენა ხელი ვიყავი, ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ფეხბურთელებამდე მწვრთნელის სიტყვა ვინმეს უნდა მიეტანა. თანაც, ეს იყო მწვრთნელის დავალება, რომელიც, როგორც ფეხბურთელმა, შევასრულე.

**— მოლდოვის ახალგაზრდულ გუნდთან ნაკრებმა სამარცხვინო ანგარიშით რატომ წააგო?**

— იმ თამაშის გახსენებაც არ მინდა. ის მატჩი საერთოდ არ უნდა მეთამაშა, მაგრამ შესვენებაზე მწვრთნელმაც მთხოვა, სხვანაირად არც თავად შემეძლო და შეცვლაზე შევედი. თუმცა თამაშს აზრიც აღარ ჰქონდა... მალტასთან კი აშკარად უკეთესად გამოვიყურებოდით.

**— ეროვნულ გუნდში ერთბაშად ძალიან ბევრი ჭაბუკი ფეხბურთელი იყო გამოძახებული...**

— ასე იყო და ეს მეც ძალიან არ მომწონს. ერთბაშად ამდენი ჭაბუკის და, ფაქტობრივად, 17-წლამდელთა ნაკრების გამოძახება, ვფიქრობ, არ შეიძლება, ბიჭები ეროვნულ გუნდს ნელ-ნელა უნდა შეეჩვიონ... თვითონ ეს ფეხბურთელები არიან ცუდ მდგომარეობაში... ამ ჭაბუკებიდან ეროვნული გუნდის მოთხოვნებს სამი-ოთხი ფეხბურთელი თუ აკმაყოფილებს და მათთვისაც ძირითადი შემადგენლობა ჯერ ადრე მგონია.

**— ტოპმიოლერმა ტურნირის შემდეგ რა თქვა?**

— მთავარი ისაა, რომ ახალ მწვრთნელს გუნდის იმედი აქვს და ამ შედეგის მიუხედავად დარწმუნებულია, რომ საქართველოს ნაკრებისგან ძლიერი გუნდის გაკეთება შეიძლება. თუმცა ნაწყენია იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც მალტაზე არ ჩამოვიდნენ. ტოპმიოლერმა კრებაზე პირდაპირ თქვა, ვის უნდა და ვის არა ნაკრებში თამაში, პირდაპირ მითხრასო...

**— კიდევ რა თქვა კრებაზე?**

— ეს კრება მოლდოვასთან თამაშის შემდეგ სასტუმროში შედგა. მწვრთნელი ძალიან უკმაყოფილო იყო. ტოპმიოლერი ნაკრებში თამაშს არავის შეეხვეწება. ჩვენ ამ მწვრთნელის ხელში მართლაც შეგვიძლია წარმატებით თამაში და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება, ჩვენ გვაქვს საამისოდ ყველანაირი შესაძლებლობა, ოღონდ...

**— ოღონდ რა?**

— საქმე ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ. როცა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი შეკრება და მატჩებია, ამ დროს ყველა ნაკრებში უნდა იყოს. ტოპმიოლერის მჯერა და ვფიქრობ, ყველა ფეხბურთელი მას თუ დაუჯერებს, საქართველო წარმატებით ითამაშებს.

**ქოგა ინასარიძე**

# ზესტაფონი მეორე გოცირიძეს შეიძენს

**არაა** გამორიცხული, ამ სეზონშივე თუ არა, მომავალში მაინც, „ზესტაფონს" მეორე გოცირიძე შეემატოს — როგორც შევიტყვეთ, ფეროელები რუსეთის პირველდივიზიონელ „კამაზის" ფორვარდ რევაზ გოცირიძესთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და, წესით, ფეხბურთელი საქართველოში დაბრუნების წინააღმდეგი არ უნდა იყოს — „კამაზში" ხომ მას ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს.

**ილია ნანობაშვილი**

# ტოპმიოლერის თხოვნა: დამეხმარეთ დისციპლინაში და ფეხბურთს მე მივხედავ



ბადრი ქეთილაძის ფოტო

*მალტაზე ეროვნულ ნაკრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც ახლდა და გუშინ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...*

**— მალტაზე ყოფნისას კლაუს ტოპმიოლერს რაიმე ორგანიზაციულ საკითხზე ხომ არ დაუჩივლია?**

— ტოპმიოლერს კონკრეტული არაფერი უთქვამს, მაგრამ დაგვპირდა, თბილისში რომ ჩამოვალ, ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ფედერაციის ხელმძღვანელობას დაგელაპარაკებით, ყველაფრის საქმის კურსში ჩაგაყენებთ, რათა მომავალში ყველაფერი უკეთესად იყოსო.

**— მალტაზე გამოძახებულ 35 ფეხბურთელისგან კუნძულზე ყველა არ ჩავიდა — ამაზე რა გითხრათ ტოპმიოლერმა?**

— გვითხრა, საქმისადმი მიდგომა შესაცვლელია და ამაში უნდა დამეხმაროთო. საერთო დისციპლინა უნდა ამაღლდეს და, რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო ასპექტებს, ვგრძნობ, ძალიან კარგი გუნდის გაკეთებას შევძლებთო.

**— მალტაზე გამგზავრებულ ფეხბურთელთა სიაზე ვინ იმუშავა?**

— ეს მხოლოდ სამალტო სია იყო, სხვა თამაშზე კი სხვა სია იქნება — 22 მარტს ალბანეთთან თამაშისას, ალბათ, განსხვავებულ შემადგენლობას ვნახავთ. ტოპმიოლერმა ბევრი ფეხბურთელი უნდა გამოსცადოს...

**დავით თავართქილაძე**

# მუჯირმა კრილიაში ფრთები გაშალა

**გადაწყდა:** დავით მუჯირი რუსული „კრილიას" ფეხბურთელია. გეცოდინებათ, ჩვენიანმა თავის აწ ყოფილ კლუბ „შტურმს" სასამართლოში უჩივლა, რადგან ხელფასს არ აძლევდნენ.

მუჯირმა მანამ ჩააკითხა „კრილიას", სანამ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ ჩავიდოდა მალტაზე. ქართველმა ფორვარდმა სამარელებთან ორჯერ ივარჯიშა და გუნდის მწვრთნელ გაჯი გაჯიევს ბევრი არ უფიქრია — მუჯირის ჩარიცხვა გადაწყვიტა.

პრობლემა ის იყო, რომ რუსეთში ქართველებისთვის ვიზის მიცემა არ ხერხდებოდა, გუშინ საღამოს კი ესეც მოგვარდა: მუჯირმა „კრილიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბათუმმა კამერუნამდე ლომიძე გააფორმა

**სამეორეწრეოდ** ისედაც მოლონიერებული „ბათუმი" გაჩერებას არ აპირებს. სულ მალე კლუბს სამი კამერუნელი ფეხბურთელი ჩააკითხავს — ისინი აქამდეც უნდა ჩასულიყვნენ ზღვისპირეთში, მაგრამ სავიზო პრობლემებმა შეაფერხა. სამივე აფრიკელი ახალგაზრდაა — ორნი 21-21 წლისანი არიან, ერთიც — 22-ის და აქამდე კამერუნის ჩემპიონატში თამაშობდნენ. „ბათუმის" ხელმძღვანელებმა გვითხრეს, მათ ჯერ გავსინჯავთ, 31 მარტამდე სატრანსფერო ფანჯარა ღიაა და თუ მოგვეწონა, მერე ჩავრიცხავთ კლუბშიო.

გუშინ კი ოთარ გაბელიას გუნდმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მცველ მამუკა ლომიძესთან კონტრაქტი გააფორმა. 21 წლის ლომიძემ წინა სეზონი რუსეთის პირველდივიზიონელ „ჩკალოვეცში" გაატარა.

**ილია ნანობაშვილი**

# ფორმები და ნომრები

**რუსეთში** გადაბარგებული საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი ყაზანის „რუბინმა" წარადგინა — თათრებმა ქართველ ახალწვეულს 29-ნომრიანი მაისურა გადასცეს. გეხსომებათ, რევიშვილმა „რუბინთან" ორიოდ კვირის წინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ესპანეთშიც ახლდა შეკრებაზე, სადაც „ლა მანგას" თასიც მოიგო.

რაც შეეხება ჩვენი ეროვნული გუნდის კიდევ ერთ მეკარეს, გიორგი ლომაიას, ის ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიამ" გუშინ შეიყვანა საჩემპიონატო განაცხადში და შესაძლოა დებიუტი დღეს თავის ყოფილ კლუბთან მოიწყოს — „ლუჩ-ენერგია" მოსკოვში „სპარტაკს" ეთამაშება.

საჩემპიონატო განაცხადი ვახსენეთ და, უკრაინაში გადასულ კახა მჟავანაძეზეც ვთქვათ — ოდესის „ჩერნომორეცმა" ჩვენებურ მცველს 28-ნომრიანი მაისურა გადასცა და სამეორეწრეო განაცხადშიც შეიყვანა.

შეგახსენებთ, რომ მჟავანაძე ოდესაში ორი თვის წინა გადავიდა მახაჩყალის „ანჟიდან".

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

## 17 ტური ანონსი



„ამერ“ — „ზესტაფონს“ მაყურებელი არც იმერეთში დააკლდება

# იმერეში ზესტაფონი და ამერია

## სად არის სხვაგან ახალი თბილისი?

**დღევანდელი** შაბათობა ბევრ მჭექარ მატჩს არ გვპირდება, ისეთი ტურია, უმეტესი შედეგის პროგნოზირება რთული რომ არ არის, მთავარი მატჩი კი ალბათ ზესტაფონშია.

პირველ წრეში თბილისის „ამერმა“ შინ 2:0 სძლია „ზესტაფონს“. ორივე ამბიციური და ბევრ ქართულ გუნდზე წელგამართული კლუბია. „ზესტაფონი“ სეზონის მეორე ეტაპზე შინ პირველად თამაშობს და სტადიონზე ალბათ ათიათასამდე მაყურებელი მივა. ეს გუნდები ცხრილშიც მეზობლად არიან. ისიცაა, რომ „ზესტაფონში“ ჩვენთვის გაურკვეველი სტატუსით მოსაქმე გაიოზ დარსაძე ადრე „ამერის“ მწვრთნელი იყო. მოკლედ, ინტრიგა ამ შეხლას არ აკლია.

„ამერიც“ და „ზესტაფონიც“ მეორე წრისთვის მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ზესტაფონმა თბილისის „დინამოს“ შუახაზელი გიორგი ჭელიძე წაჰგვარა, რომელმაც მალტაზე ეროვნულ ნაკრებში ორივე მატჩი ითამაშა. ფეხბურთელთა კონტინგენტის მხრივ „ამერი“ და „ზესტაფონი“ ტოლ-სწორად არიან, მაგრამ ზესტაფონელები შინ თამაშობენ და ეს მათ არცთუ პატარა უპირატესობას აძლევთ. თანაც „ამერს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება დისკვალიფიკაციის გამო — მცველი ვახტანგ ხვადაგიანი და შუახაზელი ალეკო კოშკაძე.

ლიხსიქითური მატჩებიდან „კოლხეთი“ — „ბორჯომიც“ არ უნდა იყოს ულაზათო. ბორჯომელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ და ვლადიმერ ხაჩიძისთვის ეს შეხვედრა სადებიუტოა. შესაძლოა, „ბორჯომში“ პირველად ითამაშოს ახალწვეულმა გოჩა ხოჯავამ.

„ბორჯომთან“ თამაშიდან სამ დღეში, 7 მარტს „კოლხეთი“ თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ამერს“ მასპინძლობს. პირველი მატჩი თბილისში 0:0 დამთავრდა და ფოთელებს არცთუ ურიგო შანსი გაუჩნდათ ნახევარფინალში გასასვლელად. ჰოდა, „ბორჯომთან“ დაპირისპირება ფოთელებისთვის სათასო რეპეტიციაც იქნება.

შავი ზღვის სანაპიროზე კიდევ ერთი მატჩია და „ბათუმი“ თბილისის „სპარტაკთან“ ფავორიტი უნდა იყოს. თუ ოთარ გაბელიას გუნდმა „სპარტაკს“ ვერ მოუგო, ეს ბათუმელებისთვის გაწბილება იქნება — მეორე წრისთვის ხომ „ბათუმი“ საგრძნობლად გაძლიერდა.

აღმოსავლეთით ტურის უკიდურესი წერტილი თელავია, რომლის „კახეთიც“ არგავარდნისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ცხინვალს“ მასპინძლობს. კახელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ვასილ არუდაშვილი, რომელსაც არაერთხელ გაუტანია მნიშვნელოვანი გოლი, ხოლო შიდაქართლელებს ასევე საკვანძო ფეხბურთელები, მიხეილ თაყაძე და საბა სულთანიშვილი დააკლდებათ — ისინიც დისკვალიფიცირებულნი არიან.

თუ რამ სასწაული არ მოხდა, ბოლნისის „სიონმა“ გორში „დილას“ უნდა მოუგოს. კახა ცხადაძის გუნდი ამ შეხვედრაში აშკარა ფავორიტია, მოფამფალებული „დილა“ კი სენსაციის შემძლეს არ ჰგავს.

რევაზ ძოძუაშვილი ბალტიისპირეთიდან საქართველოში იმად დაბრუნდა, რათა მშობლიური ქალაქის გუნდი ხელახლა გაწვრთნას — ქუთაისის „ტორპედო“ ვაკეში „ლოკომოტივს“ გაეჯიბრება და ძოძუაშვილიც პირველად შეავლებს თვალს თავისი მომავალი სამწყსოს თამაშს. მატჩის პროგნოზირება კი ადვილი არ უნდა იყოს, ვფიქრობთ, მეტოქეებს თანაბარი შანსი აქვთ.

იყო დრო, „თბილისის“ და „დინამოს“ შეხლა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ამშვენებდა, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. „თბილისმა“ უსახსრობის გამო საშუასეზონო შეკრება ვერ გაიარა, ისევ ვერ ემზადება, პროფესიულ გუნდს რომ ეკადრება, მატჩის წინა დღესაც ვერ გაუხერხეს შეკრება და ასეთნაირად წარდგება დღეს „დინამოსთან“.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 16 | 12 | 3 | 1 | 36:10 | 39 |
| სიონი | 16 | 12 | 2 | 2 | 32:12 | 38 |
| დინამო | 16 | 11 | 2 | 3 | 26:7 | 35 |
| ლოკომოტივი | 16 | 10 | 3 | 3 | 26:10 | 33 |
| ამერი | 16 | 10 | 2 | 4 | 20:10 | 32 |
| ბორჯომი | 16 | 10 | 0 | 6 | 29:16 | 30 |
| ზესტაფონი | 16 | 9 | 3 | 4 | 20:12 | 30 |
| ბათუმი | 16 | 7 | 4 | 5 | 14:12 | 25 |
| კოლხეთი | 16 | 7 | 1 | 8 | 16:20 | 22 |
| დილა | 16 | 5 | 1 | 10 | 21:25 | 16 |
| კახეთი | 16 | 5 | 1 | 10 | 14:26 | 16 |
| ცხინვალი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:29 | 15 |
| ტორპედო | 16 | 3 | 4 | 9 | 11:22 | 13 |
| სოხუმი | 16 | 3 | 1 | 12 | 17:40 | 10 |
| სპარტაკი | 16 | 2 | 2 | 12 | 4:28 | 8 |
| თბილისი | 16 | 1 | 2 | 13 | 9:30 | 5 |

თელავი. 4 მარტი. 15 საათი. გ. ჩოხელი

### კახეთი — ცხინვალი

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, ზ. ხუციშვილი, დ. სანაია;
დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი

მცხეთა. 4 მარტი. 15 საათი. არმაზი

### სოხუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, დ. კვეტენაძე, პ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

ფოთი. 4 მარტი. 15 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ბორჯომი

მსაჯები: ა. ორდინიძე, გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე, გ. კიკაჩეიშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ბათუმი. 4 მარტი. 15 საათი. დინამო

### ბათუმი — სპარტაკი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ხ. გაგნიძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე;
დამკვირვებელი: მ. მირცხულავა

გორი. 4 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — სიონი

მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი, დ. ხარიტონაშვილი;
დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

თბილისი. 4 მარტი. 15 საათი. ოლიმპი

### თბილისი — დინამო

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ურუშაძე, ა. გუნთაძე, ლ. სილაგავა;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 4 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ლ. ფანიაშვილი;
დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

ზესტაფონი. 4 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ამერი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი. ა. კრიჭაშვილი;
დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე



„დინამოს“ ბრაზილიელ ვიეირას ქართული დებიუტი ალბათ დღეს ექნება

# ნათლია ნათლულთან



ნათელმირონობა იტალიურად: გატუზო და მატერაცი

**გადაირევი** კაცი: „ინტერის“ ცენტრალურმა მცველმა, ცუდი ზნით და მტკიცე თამაშით ცნობილმა მარკო მატერაციმ სეზონის ბოლოს ქალაქის მეორე გუნდში, „მილანში“ გადასვლის სურვილი გამოამჟღავნა. ბოლო ხანს მატერაცისა და „მილანს“ არცთუ იშვიათად ახსენებდნენ ერთად და ამ ლაპარაკებს ახლა საკუთრივ მატერაცის კომენტარიც რომ დაემატა, ცხადი გახადა, რომ მოარული ხმები უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

„მილანის ბიჭებთან საუცხოო ურთიერობა მაქვს — თქვა მატერაციმ „სკაი იტალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯენარო გატუზო ჩემი ნათლულია“.

რა არ აკმაყოფილებს მატერაცის „ინტერში“? იტალიური ფეხბურთის მოყვარულებს შეხსენება არ სჭირდებათ, რომ რობერტო მანჩინის ხელში მატერაცი შავ-ლურჯების თერთმეტეულში ხშირად ველარ ხვდება და მასაც სწორედ ეს არ მოსწონს. მეტიც, არათუ არ მოსწონს, როგორც ამბობენ, ცოტა ხნის წინ მატერაციმ და მანჩინიმ იჩხუბეს კიდეც.

და თუ ის, რითიც ამბის თხრობა დავიწყეთ, მართლა მოხდება ანუ ლურჯი მატერაცი გაწითლდება, სტატისტიკოსები დაუნანებლად მოგვაწოდებენ იმ მოთამაშეთა გვარებსაც, რომელთაც სხვადასხვა დროს ქალაქ მილანში იგივე მარშრუტი გაუკეთებიათ. ხოლო მანამდე მასიმო მორატის ერაში გაწითლებულთა ვინაობას გაგაცნობთ: დარიო შიმიჩი, კრისტიან ბროკი, ანდრეა პირლო, კლარენ ზეედორფი და კრისტიან ვიერი.

და კიდევ, მარკო მატერაცი, მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრების წევრია და სავარაუდოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუწევს თამაში.

„მინდა გითხრათ, რომ ვამაყობ, იტალიის ნაკრებში „ინტერს“ რომ წარმოვადგენ. „სკუადრა აძურაში“ ინტერელები მხოლოდ ოთხნი ვართ“ — ამბობს მცველი, ხოლო გულწრფელია თუ არა, ამის ამოცნობა თქვენთვის მოგვინდვია.

ბოლოს კი საკითხს მეორე მხრიდან შევხედოთ: „მილანს“ უნდა მატერაცი? ამ კითხვაზე პასუხი იმაზეა დამოკიდებული, მართლა მიდიან თუ არა ზაფხულში ამ გუნდიდან იაპ სტამი, კაფუ და კოსტაკურტა. თუ მიდიან, მაშინ უნდა.

**პაპუნა ძიძია**



# გადაღებულია!

## მოკლემეტრაჟიანი კასანო

**აი, კიდევ** ერთი დასტური, რომ ფეხბურთის ახლანდელი ვარსკვლავები ამავდროულად ტელე-კინო-შოუბიზნეს ვარსკვლავებიც არიან: რეჟისორმა პიპო მეძაპეზამ ანტონიო კასანოზე მცირემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო.

ფილმს მეტისმეტად გრძელი სათაური აქვს: „კასანოსთან — ერთი ფეხბურთელის ისტორია ბავშვობიდან, კვირა დღეს ბარის ქუჩებიდან სტადიონამდე“.

ამ უცნაურსახელიან ფილმში მოქმედება ქალაქ ბარის ისტორიულ ცენტრსა და სანაპიროზე მიმდინარეობს. თავად კასანოს კი ფილმში ვერ ნახავთ — მის როლს მსახიობი ვინჩენცო დე ბენედიქტისი ასრულებს.

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მილანი | : | ემპოლი |
| სამპდორია | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | : | ასკოლი |
| ლივორნო | : | კალიარი |
| რომა | : | ინტერი |
| კიევო | : | ლაციო |
| ლეჩე | : | პალერმო |
| მესინა | : | პარმა |
| ტრევიზო | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | სიენა |

# იტალია

## მილანს რვიანის დახაზვა უნდა

**„რომამ“** სერია A-ს რეკორდი უკვე დაამყარა, დედაქალაქელებმა ზედიზედ 11 მატჩი მოიგეს და ამის წყალობით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ. „გლადიატორებს“ ამ წარმატებული სერიის შენარჩუნება სურთ, მაგრამ მათზე ერთი საფეხურითა და 4 ქულით წინ მყოფ „ინტერთან“ ხვალ სერიოზული ბრძოლა ელით.

მასპინძელთა მხრიდან ცხადია, უნდა აღვნიშნოთ ფრანჩესკო ტოტის არყოფნა. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ვინჩენცო მონტელა იქნება, მის უკან კი სიმონე პეროტა, ამანტინო მანსინი და როდრიგო ტადეი ითამაშებენ. რაც შეეხება „ინტერს“ აქ დანაკლისი გაცილებით დიდია. ადრიანო და ვალტერ სამუელი დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო ხუან სებასტიან ვერონი, ალვარო რეკობა, ჟულიო სეზარი და ჯუზეპე ფავალი — ტრავმირებულნი.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ ქომაგებს იმედი დავუბრუნეთ და ისევ სიამოვნებას ვანიჭებთ. ცხადია, „ინტერთანაც“ მოგებას ვეცდებით“ — განაცხადა „რომას“ თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ.

ტურინის „იუვენტუსს“ მძიმე გასვლითი მატჩი ელის გენუაში. „ბებერ ქალბატონს“ ალბათ ზლატან იბრაჰიმოვიჩის და ტრეზეგეს გარეშე მოუწევს „სამპდორიასთან“ თამაში. შესაბამისად შემტევი წყვილი დელ პიერომუტუ იქნება. ხოლო დაცვაში სავარაუდოდ რობერტ კოვაჩი ითამაშებს, რათა ლილიან ტურამს ბრემენის „ვერდერთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ დასვენების საშუალება მიეცეს.

„ვერდერთან“ მატჩი კი გველის, მაგრამ ახლა მხოლოდ „სამპდორიაზე“ ვფიქრობთ. იმედია მოვიგებთ კიდეც. არ ვიცი ვითამაშებ თუ არა ამ შეხვედრაში, ეს ფაბიო კაპელოს გადასაწყვეტია, იგი ბრწყინვალე მწვრთნელია და სრულად ვენდობი. მის ხელში ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ვატარებ და მჯერა წინ კიდევ ბევრი წარმატება გველის“ — განაცხადა ტურინელთა რუმინელმა ლეგიონერმა ადრიან მუტუმ.

სანამ „იუვენტუსი“ „სამპდორიაზე“ ფიქრობს, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილოსნები ერთმანეთს ხვდებიან, კარლო ანჩელოტის „მილანი“ პოზიციის განმტკიცებას ეცდება, რისთვისაც ერთ-ერთი აუტსაიდერის, „ემპოლის“ დამარცხებაა საჭირო.

„როსონერის“ პრობლემები მხოლოდ დაცვაში აქვს. კვლავ დაშავებულნი არიან პაოლო მალდინი და მარკოს კაფუ, საეჭვოა დიდას თამაშიც, ხოლო იაპ სტამი დისკვალიფიცირებულია.

„დიდი შანსია „იუვენტუსმა“ გენუაში ორი ქულა დაკარგოს, ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენსა და ტურინელებს შორის სხვაობა 8 ქულა გახდება“ — აღნიშნა მილანელთა ფორვარდმა ალბერტო ჯილარდინომ.

ტოსკანური დერბი გაიმართება „არტემიო ფრანკიზე“. „ფიორენტინა“ პრინციპულ მეტოქე „სიენას“ მასპინძლობს. „იებს“ შესაძლოა წამყვანი მცველის მარკო დონადელის გარეშე თამაში მოუხდეთ, რომელიც ვარჯიშზე დაშავდა. ფლორენციელთა თავკაცი ჩეზარე პრანდელი ცხადია მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს, რათა მისმა გუნდმა ოთხეულში ადგილი დაიბრუნოს. ახლა „ფიორენტინას“ ამის საუკეთესო შანსი აქვს, რადგან „რომა“ და „ინტერი“ ერთმანეთს ხვდებიან და „იების“ ფეხბურთელებიც ქომაგებს გამარჯვებას ჰპირდებიან.



ალბერტო ჯილარდინო

**გიორგი ძაძამიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | | 2:0 | | | 3:0 | 1:0 | | 2:0 | | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 3:1 |
| 2 | მილანი | 3:1 | | | | | | | 2:0 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 5:1 | 4:3 | 1:0 | 4:0 | | 5:0 | 2:1 |
| 3 | ინტერი | 1:2 | 3:2 | | 2:3 | 1:0 | 5:0 | 1:0 | | | 3:0 | 1:0 | | | 3:1 | 2:0 | 3:2 | | 4:1 | 3:0 | 3:0 |
| 4 | რომა | 1:4 | 1:0 | | | 1:1 | 3:0 | 4:0 | 1:1 | | 1:2 | 2:1 | 2:3 | 3:1 | 0:1 | 4:1 | 4:3 | | 1:0 | | |
| 5 | ფიორენტინა | 1:2 | 3:1 | 2:1 | | | 3:2 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 1:0 | | | | 4:2 | 4:1 | 2:1 | 2:0 | | 1:0 | 1:0 |
| 6 | ლივორნო | | 0:3 | 0:0 | 0:0 | 2:0 | | 0:0 | 2:1 | | | 2:0 | 2:2 | 1:0 | | 2:0 | | 2:2 | 2:0 | 1:1 | 2:1 |
| 7 | კიევო | 1:1 | 2:1 | 0:1 | | | | | | 1:1 | 0:0 | 1:1 | | 4:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | | 2:2 | 0:0 | 3:1 |
| 8 | ლაციო | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 1:0 | | 2:2 | | | 4:2 | 4:1 | 3:2 | | 1:1 | | 1:1 | 1:0 | | 3:1 | |
| 9 | სამპდორია | | 2:1 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 0:2 | 1:2 | 2:0 | | | 1:2 | 3:3 | 3:2 | | | | 4:2 | 2:0 | 1:1 | |
| 10 | პალერმო | 1:2 | 0:2 | 3:2 | | | 0:2 | 2:2 | 3:1 | 0:2 | | | 1:3 | 1:0 | | 4:2 | 2:2 | | 2:2 | | 3:0 |
| 11 | ასკოლი | 1:3 | 1:1 | | | 0:2 | 0:0 | | | 2:1 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 3:1 | | 1:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 |
| 12 | სიენა | | 0:3 | 0:0 | 0:2 | 0:2 | | 0:1 | | 1:0 | 1:2 | 1:1 | | 0:0 | 2:3 | 2:2 | 2:1 | 4:2 | 1:0 | | |
| 13 | რეჯინა | | 1:4 | 0:4 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 1:3 | 1:0 | 2:1 | 2:2 | | | | 2:0 | 2:1 | 3:1 | | | 1:2 | 2:0 |
| 14 | უდინეზე | 0:1 | | 0:1 | 1:4 | 0:0 | 0:2 | | 3:0 | 2:0 | 0:0 | | 1:2 | 1:2 | | | | 1:0 | 1:0 | 2:2 | 1:2 |
| 15 | პარმა | 1:2 | | | 0:3 | 2:4 | | 2:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | 1:2 | | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:0 |
| 16 | კალიარი | | 0:2 | | 0:0 | | 1:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | | 2:1 | 1:0 | | 2:1 | | | 1:1 | 4:1 | 0:0 | 0:0 |
| 17 | მესინა | 2:2 | | 1:2 | 0:2 | 2:2 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:4 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | | 1:0 | | | | |
| 18 | ემპოლი | 0:4 | 1:3 | | 1:0 | 1:1 | | | 2:3 | | 0:1 | | | 3:0 | 1:1 | 1:2 | 3:1 | 1:3 | | 1:1 | 1:0 |
| 19 | ტრევიზო | | 0:2 | 0:1 | 0:1 | | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 2:2 | | 0:1 | | | 0:1 | | 0:0 | 1:2 | | 2:1 |
| 20 | ლეჩე | 0:3 | | 0:2 | 2:2 | 1:3 | 0:0 | | 0:0 | 0:3 | | 0:0 | 3:0 | 0:0 | | | 3:0 | 0:2 | 1:2 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 27 | 22 | 4 | 1 | 56:18 | 70 | 13 | 1 | 0 | 28:5 | 40 | 9 | 3 | 1 | 28:13 | 30 |
| 2 | მილანი | 27 | 19 | 3 | 5 | 60:24 | 60 | 12 | 1 | 0 | 35:10 | 37 | 7 | 2 | 5 | 25:14 | 23 |
| 3 | ინტერი | 27 | 18 | 4 | 5 | 51:21 | 58 | 12 | 0 | 2 | 35:11 | 36 | 6 | 4 | 3 | 16:10 | 22 |
| 4 | რომა | 27 | 16 | 6 | 5 | 51:25 | 54 | 8 | 2 | 4 | 28:18 | 26 | 8 | 4 | 1 | 23:7 | 28 |
| 5 | ფიორენტინა | 27 | 16 | 5 | 6 | 46:29 | 53 | 12 | 0 | 2 | 29:14 | 36 | 4 | 5 | 4 | 17:15 | 17 |
| 6 | ლივორნო | 27 | 11 | 11 | 5 | 29:26 | 44 | 7 | 6 | 1 | 18:10 | 27 | 4 | 5 | 4 | 11:16 | 17 |
| 7 | კიევო | 27 | 10 | 10 | 7 | 35:30 | 40 | 6 | 6 | 1 | 19:9 | 24 | 4 | 4 | 6 | 16:21 | 16 |
| 8 | ლაციო | 27 | 9 | 11 | 7 | 33:33 | 38 | 6 | 6 | 1 | 21:13 | 24 | 3 | 5 | 6 | 12:20 | 14 |
| 9 | სამპდორია | 27 | 10 | 7 | 10 | 42:36 | 37 | 6 | 4 | 3 | 25:19 | 22 | 4 | 3 | 7 | 17:17 | 15 |
| 10 | პალერმო | 27 | 8 | 10 | 9 | 36:40 | 34 | 5 | 3 | 5 | 22:22 | 18 | 3 | 7 | 4 | 14:18 | 16 |
| 11 | ასკოლი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:31 | 32 | 6 | 6 | 2 | 18:13 | 24 | 1 | 5 | 7 | 9:18 | 8 |
| 12 | სიენა | 27 | 8 | 8 | 11 | 32:41 | 32 | 4 | 4 | 6 | 14:19 | 16 | 4 | 4 | 5 | 18:22 | 16 |
| 13 | რეჯინა | 27 | 7 | 7 | 13 | 27:44 | 28 | 6 | 3 | 5 | 19:23 | 21 | 1 | 4 | 8 | 8:21 | 7 |
| 14 | უდინეზე | 27 | 7 | 6 | 14 | 27:41 | 27 | 4 | 3 | 7 | 13:16 | 15 | 3 | 3 | 7 | 14:25 | 12 |
| 15 | პარმა | 27 | 6 | 8 | 13 | 30:47 | 26 | 4 | 6 | 4 | 15:17 | 18 | 2 | 2 | 9 | 15:30 | 8 |
| 16 | კალიარი | 27 | 5 | 9 | 13 | 29:42 | 24 | 5 | 7 | 1 | 16:10 | 22 | 0 | 2 | 12 | 13:32 | 2 |
| 17 | მესინა | 27 | 4 | 12 | 11 | 25:38 | 24 | 2 | 8 | 3 | 12:15 | 14 | 2 | 4 | 8 | 13:23 | 10 |
| 18 | ემპოლი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:47 | 23 | 4 | 3 | 6 | 16:20 | 15 | 2 | 2 | 10 | 12:27 | 8 |
| 19 | ტრევიზო | 27 | 2 | 9 | 16 | 16:40 | 15 | 1 | 2 | 10 | 6:17 | 5 | 1 | 7 | 6 | 10:23 | 10 |
| 20 | ლეჩე | 27 | 3 | 6 | 18 | 17:44 | 15 | 2 | 5 | 6 | 10:17 | 11 | 1 | 1 | 12 | 7:27 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაყი ინტერვიუ
## მე ერთი ვარ ქვეყანაზე

*კანი თუ ლემანი? ეგებ ვინმე სხვაც. ასეთი ლაპარაკი გერმანიაში დიდი ხანია ისმის. მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად ეს საკითხი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება და „კიკერის“ და ოლივერ კანის საუბარიც ამ თემას შეეხო. ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ ოლივერ კანი ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ მატჩის წინ დაშავდა, იტალიასთან ამხანაგურ მატჩში კი ოთხი გოლი იენს ლემანმა გაუშვა*



—როდის დაუბრუნდებით მოედანს?

— ყველაფერი კარგადაა. იმედი მაქვს, „ჰამბურგთან“ თამაშს შევძლებ.

— იტალიასთან მატჩში თქვენ უნდა გეთამაშათ, რაც ტრავმის გამო ვერ შეძელით. ალბათ ძნელი იყო თამაშის ტრიბუნიდან ყურება...

— რა თქმა უნდა. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

— რომ გეთამაშათ, შეძლებდით დამტკიცებას, რომ კვლავაც №1 მეკარე ხართ?

— მე უკვე რვა წელია, გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე ვარ და დასამტკიცებელი არაფერი მაქვს.

— მძაფრი კონკურენცია ალბათ ფორმის შენარჩუნებაშიც გეხმარებათ...

— ჩემთვის მთავარი სტიმული მსოფლიოს ჩემპიონატია.

— იენს ლემანს იმედი აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესნაკრების კარის დაცვას მას ანდობენ. ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?

— მე საკუთარ თამაშს ვაანალიზებ ხოლმე და არა სხვისას. მაღალ დონეზე სტაბილურად ვთამაშობ და იურგენ კლინსმანიც მუდამ ამას უსვამს ხაზს.

— ლემანი თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებს...

— სტატისტიკა საერთოდ არ მაინტერესებს. მეკარის მუშაობის შეფასება სტატისტიკის მეშვეობით სისულელეა. როგორ დირიჟორობს მცველთა მოძრაობას, რამდენად აფასებს მას მეტოქე, შეუძლია თუ არა გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტი ბურთის აღება — აი, რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასო მეკარის თამაში.



# ბალაკის აგენტი ადასტურებს: ჩელსი

**მიხაელ ბალაკის** აგენტი მიხაელ ბეკერი აცხადებს, რომ „ბაიერნის“ კაპიტანი ნამდვილად გადავა „ჩელსიში“ და თანაც ბოსმანის წესით, ამიტომაც ძალიან მაღალი ხელფასი ექნება.

„ხელმოწერილი არაფერია — თქვა ბეკერმა — თუმცა კონტრაქტი მზადდება. მიხაელს „რეალი“ უნდოდა, მაგრამ იქ ვითარება იმგვარია, რომ არავინ იცის, რა მოხდება“.

ბალაკზე „მანჩესტერი“ და „ინტერიც“ ნადირობენ, თუმცა „ჩელსი“ აშკარა ლიდერი ჩანს. ბაიერნის მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კი განაცხადა, რომ თუ ბალაკი წავა, ბავარიელები ბარსელონელი მარკ ვან ბომელის შეძენას შეეცდებიან.

„ის ძალიან კარგი ფეხბურთელია და ნამდვილი ლიდერი — თქვა მაგათმა — არაფერს ნიშნავს, რომ „ბარსას“ ძირითადში ადგილი დაბევებული არ აქვს“.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |
| დორტმუნდი | : | მაინცი |
| ლაუტერნი | : | შტუტგარტი |
| ჰანოვერი | : | შალკე |
| ნიურნბერგი | : | დუისბურგი |
| ჰერტა | : | კიოლნი |
| ბაიერნი | : | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| აინტრახტი | : | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | : | არმინია |

# გერმანია
## მაგათს შარშანდელი დოლის ხმა ახსოვს

**„ჰამბურგი“** ერთადერთი გუნდია, ამ სეზონში „ბაიერნის“ დამარცხება რომ შეძლო. შარშან შემოდგომაზე თომას დოლმა შინ 2:0 მოუგო ფელიქს მაგათს. „ბაიერნი“ რევანშისთვის ემზადება. „ალიანს არენაზე“ თერთმეტივე საშინაო შეხვედრაში იმარჯვა და ალბათ არც „ჰამბურგს“ დაადგება კარგი დღე.

„დღეს თუ მოვიგეთ, ჰამბურგელები საჩემპიონო ოცნებას დაემშვიდობებიან. ჩვენი მიზანიც ესაა“ — თქვა მაგათმა.

„მართალია, ბევრმა სცადა „ალიანს არენაზე“ „ბაიერნის“ დამარცხება და არ გამოუვიდათ, მაგრამ ახლა ჩვენ უნდა ვცადოთ“ — განაცხადა თომას დოლმა.

აღსანიშნავია, რომ 24 წელია, „ჰამბურგს“ მიუნხენში არ მოუგია.

„ბაიერნს“ გამოუკეთდა ოლივერ კანი და ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში პაულო გერერომ დუბლი შეასრულა, მწვრთნელმა იგი ისევ სათადარიგოებში გადაიყვანა და თავდასხმაში მაკაი-პიზაროს წყვილს ათამაშებს. სათქმელია ისიც, რომ „ბაიერნს“ მომავალ კვირაში „მილანთან“ საპასუხო მატჩი ელის. „ჰამბურგი“ მიუნხენელებს ახლა 11 ქულით ჩამორჩება და „ბაიერნმა“ თუ მოიგო, ერთ კონკურენტს გვარიანად ჩამოიშორებს.

რაც შეეხება ლიდერის მეორე მდევარს, ბრემენის „ვერდერს“, „მუსიკოსები“ ლევერკუზენის „ბაიერს“ სტუმრობენ. „ჩვენ კარგად ვთამაშობთ და ყველაზე მეტი გოლიც გავიტანეთ ბუნდესლიგაში, მაგრამ „ბაიერნი“ მაინც პირველი ნომერია გერმანიაში“ — აღიარა ვერდერელმა ტორსტენ ფრინგსმა. „მუსიკოსებს“ ძალების დაზოგვა-განაწილება მოუწევთ, რადგან „ბაიერნის“ შემდეგ მათ ტურინში „იუვენტუსი“ ელის. კვლავ დაშავებულია „ვერდერის“ მთავარმეკარე ანდრეას რაინკე და მას ტიმ ვიზე შეცვლის, ხოლო „ბაიერს“ ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს.

გელზენკირხენის „შალკე“ „ჰანოვერს“ კევინ კურანისა და ჰამიტ ალტინტოპის გარეშე ეწვევა. ორივე ტრავმირებულია. კურანის ნაცვლად შეტევაში ჯერალდ ასამოა ითამაშებს, რომელსაც სიორენ ლარსენი დაეხმარება, ხოლო ალტინტოპს ბრაზილიელი რაფინია შეცვლის.

მირკო სლომკას ხელში „შალკე“ საუცხოოდ ათამაშდა და გუნდს მეორე-მესამე ადგილზე გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა, რაც ჩემპიონთა ლიგისკენ გზას გაუხსნის.

ბერლინის „ჰერტას“ მწვრთნელ ფალკო გიოტცის წასვლას ფანები უკვე ითხოვენ, რადგან წლეულს გუნდს თამაში არ მოუგია და უეფას თასიდანაც გავარდა. გიოტცი ძალაზეა, არსადაც არ წავალო. „ჰერტა“ „კიოლნს“ მასპინძლობს და თუ მოუგებს, ეგებ მწვრთნელს ეშველოს.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ჰამბურგი“ — „ბაიერნი“ 2:0. პირველი წრის მატჩში მასპინძლებმა გაიხარეს

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 3:1 | | | | 1:0 | 1:0 | 3:0 | 3:0 | | | 5:2 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 4:0 | | 23 | 18 | 4 | 1 | 47:17 | 58 | 11 | 0 | 0 | 28:6 | 33 | 7 | 4 | 1 | 19:11 | 25 |
| 2 | ვერდერი | | | 1:1 | | 1:1 | 2:1 | | | 2:0 | 3:2 | 5:2 | 4:1 | 6:1 | 0:2 | 6:2 | 4:2 | 2:0 | | 23 | 15 | 4 | 4 | 54:25 | 49 | 9 | 2 | 1 | 36:15 | 29 | 6 | 2 | 3 | 18:10 | 20 |
| 3 | ჰამბურგი | 2:0 | | | 1:0 | 0:2 | | 1:1 | 2:1 | | | 2:1 | 1:1 | 0:1 | | 3:0 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 23 | 14 | 5 | 4 | 35:17 | 47 | 8 | 2 | 2 | 18:8 | 26 | 6 | 3 | 2 | 17:9 | 21 |
| 4 | შალკე | 1:1 | 2:1 | | | | 7:4 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | | | | 2:1 | 2:0 | 1:0 | 3:0 | | 23 | 12 | 9 | 2 | 33:17 | 45 | 7 | 4 | 0 | 21:8 | 25 | 5 | 5 | 2 | 12:9 | 20 |
| 5 | შტუტგარტი | 0:0 | 0:0 | 1:2 | 2:0 | | | 2:2 | 3:3 | 1:1 | | 1:1 | | | 1:0 | | 2:1 | 0:1 | 2:3 | 23 | 7 | 12 | 4 | 26:21 | 33 | 3 | 6 | 3 | 15:14 | 15 | 4 | 6 | 1 | 11:7 | 18 |
| 6 | ლევერკუზენი | 2:5 | | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 0:0 | 1:2 | | 2:1 | 1:1 | 2:1 | 4:0 | | | | 3:2 | 2:1 | 23 | 8 | 7 | 8 | 40:37 | 31 | 5 | 4 | 3 | 19:16 | 19 | 3 | 3 | 5 | 21:21 | 12 |
| 7 | ჰანოვერი | 1:1 | 0:0 | 2:1 | | | | | 2:2 | 1:1 | | | 2:0 | 2:4 | 5:1 | 1:1 | 2:2 | 1:1 | | 23 | 6 | 12 | 5 | 33:29 | 30 | 3 | 7 | 1 | 19:14 | 16 | 3 | 5 | 4 | 14:15 | 14 |
| 8 | ჰერტა | 0:0 | 1:2 | | 1:2 | | | 1:1 | | 2:2 | | | 2:0 | 3:0 | 3:0 | 1:1 | 3:1 | 3:2 | | 23 | 7 | 9 | 7 | 32:31 | 30 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 | 2 | 5 | 5 | 12:20 | 11 |
| 9 | მიონხენგლადბახი | 1:3 | 2:1 | 0:0 | 0:0 | | 1:1 | | | | | | 4:3 | 1:1 | 4:1 | 0:1 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 23 | 7 | 9 | 7 | 28:29 | 30 | 6 | 4 | 2 | 18:12 | 22 | 1 | 5 | 5 | 10:17 | 8 |
| 10 | დორტმუნდი | 1:2 | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:0 | | 0:2 | 2:0 | 2:1 | | 2:0 | | 3:2 | | | | 2:0 | 2:1 | 23 | 7 | 8 | 8 | 28:28 | 29 | 6 | 2 | 4 | 16:12 | 20 | 1 | 6 | 4 | 12:16 | 9 |
| 11 | არმინია | 1:2 | 0:1 | 0:2 | 0:1 | 2:1 | | 4:1 | 3:0 | 0:2 | 1:0 | | | | 0:0 | | 2:0 | | 3:2 | 23 | 7 | 6 | 10 | 26:32 | 27 | 6 | 1 | 5 | 16:12 | 19 | 1 | 5 | 5 | 10:20 | 8 |
| 12 | აინტრახტი | 0:1 | | 1:2 | 0:1 | 1:1 | 1:4 | 0:1 | 1:1 | | 2:0 | 3:0 | | | | 1:0 | | | 6:3 | 23 | 7 | 4 | 12 | 30:38 | 25 | 4 | 2 | 5 | 16:14 | 14 | 3 | 2 | 7 | 14:24 | 11 |
| 13 | ვოლფსბურგი | | | | 0:0 | 0:1 | 2:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:2 | 0:0 | 1:0 | | | 1:1 | | | 1:1 | 23 | 6 | 7 | 10 | 24:39 | 25 | 4 | 6 | 1 | 12:8 | 18 | 2 | 1 | 9 | 12:31 | 7 |
| 14 | კაიზერსლაუტერნი | | 1:5 | 0:3 | 0:2 | | 2:2 | | | | 3:3 | 2:0 | 1:2 | 3:2 | | 1:3 | 0:2 | 5:3 | 2:2 | 23 | 6 | 5 | 12 | 33:50 | 23 | 3 | 3 | 6 | 20:29 | 12 | 3 | 2 | 6 | 13:21 | 11 |
| 15 | ნიურნბერგი | 1:2 | | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | | 1:2 | 2:3 | 0:1 | 1:0 | | | | | 2:1 | 23 | 5 | 6 | 12 | 23:37 | 21 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:23 | 9 |
| 16 | მაინცი | | 0:2 | 1:3 | | 1:2 | 3:1 | | | | 1:1 | 1:1 | 2:2 | 5:1 | 0:2 | 4:1 | | 1:1 | 4:2 | 23 | 5 | 5 | 13 | 32:38 | 20 | 4 | 4 | 4 | 23:19 | 16 | 1 | 1 | 9 | 9:19 | 4 |
| 17 | დუისბურგი | | | | | 1:1 | 1:3 | | 2:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 1:0 | | | 1:1 | 23 | 4 | 8 | 11 | 23:40 | 20 | 3 | 6 | 2 | 12:12 | 15 | 1 | 2 | 9 | 11:28 | 5 |
| 18 | კიოლნი | 1:2 | 1:4 | | 2:2 | 0:0 | 0:3 | 1:4 | 0:1 | 2:1 | 0:0 | | | | 2:3 | | 1:0 | | | 23 | 3 | 6 | 14 | 28:50 | 15 | 2 | 3 | 6 | 10:20 | 9 | 1 | 3 | 8 | 18:30 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშლი გეი არ არის

„არსენალის“ ფეხბურთელი ეშლი კოული და მისი ვექილები გაზეთებს „სანსა“ და „ნიუს ოვ ზე ვორლდს“ უჩივლებენ. კოული სიცრუეს უწოდებს ყვითელ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებშიაც ის ჰომოსექსუალიზმთანაა დაკავშირებული.



ამ სტატიებში აღწერილია ჭორები, თითქოს პრემიერლიგის ორი ვარსკვლავი მობილურ ტელეფონებს როგორც სექს-სათამაშოებს, ისე იყენებდა. იქ ფეხბურთელების სახელები მოყვანილი არ არის, მაგრამ ნაირგვარ ინტერნეტ-ფორუმებზე სწორედ კოულის სახელი ისმის.

ეშლი კი მალე ცოლს ირთავს — „გელზ ერაუნდის“ ჯგუფის წევრ შერილ ტვიდის და სულაც არ მოსწონს, რომ ვიღაც მობილურიან პათოლოგად წარმოიდგინონ.

საკუთრივ ამბავში კი სხვა ხალხი ჩანს გახვეული: არ ხმიანდება ერთი მომღერლისა და ორი ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც ჰომოსექსუალურ ორგიაში ჩაბმულიყვნენ. გაზეთმა „ნიუს ოვ ზე ვორლდმა“ ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის თავზე ორგიის მონაწილე ორი კაცის სახედაფარული ფოტოებიც კი გამოაქვეყნა.

თუმცა, ეს კოულის ვექილებს არაფერში უშლის ხელს — ისინი მორალური ზარალისას მოითხოვენ.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ფინანს ევრას აბრალებენ

„ლივერპულის“ მცველი სტივ ფინანი ლამის შოკში ჩავარდა, როცა შეიტყო, რომ რასობრივ დამცირებაშია ეჭვმიტანილი.

პოლიციაში ორი საჩივარი შესულა იმის თაობაზე, თითქოს გასულ თვეში „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ პრემიერლიგური მატჩისას, ფინანს რასობრივი შეურაცხყოფა მიეყენებინოს მანჩესტერელი პატრის ევრასთვის.

ამ ფეხბურთელებს შელაპარაკება კი მოსვლიათ, მაგრამ იქ რასობრივი არაფერი ყოფილა: ასე იუწყება „ლივერპულის“ პრეს-სამდივნო.

სტივ ფინანი კი ამბობს: „ტყუილია, არც ვიცი, რა ვიფიქრო, რასობრივი არაფერი მითქვამს. ჯობს, ეს საქმე დროზე გაარკვიონ“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ინგლისი
# უცნაური დრო

**დღეს** „ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი თანაგუნდელებს „ვესტ ბრომვიჩზე“ სალაშქროდ გაუძღვება, თუმცა, ამოუდგება თუ არა მას მხარში ფრენკ ლამპარდი, უცნობია — ლამპარდმა ამ დღეებში ლივერპულში, „ენფილდ როუდზე“ ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში ვერ ითამაშა. მიზეზი: „ბარსელონას“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ორთავა კუნთი იტკინა. ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლონდონელთა თავკაც ჟოზე მაურინიუს დღეს ლამპარდის თამაშს, მისი დასვენება და სამშაბათს „ბარსასთან“ საპასუხო შეხვედრაში გამოყენება ურჩევნია.

ხოლო „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელს ბრაიან რობსონს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი „მიდლსბროს“ ეფექტური შედეგის გამეორებას შეძლებს — „მიდლსბრომ“ ორი კვირის წინ 3:0 მოუგო ნაქებ და ნადიდებ „ჩელსის“.

„ჩვენ სეზონის იმ პერიოდში გადავედით, როდესაც თამაშები უცნაური შედეგებით მთავრდება ხოლმე. გაიხსენეთ „ბოროსა“ და „ჩელსის“ ორი კვირის წინანდელი ამბავი, ვიმეორებ, ასეთი შედეგები ამ თვეებისთვის არის დამახასიათებელი. რატომ? არ ვიცი, იმიტომ, რომ ხალხი, ცოტა არ იყოს იღლება თუ არ ვიცი, იმიტომ, რომ დიდ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაზე აქვთ მთელი გონება გადართული.“



ფრენკ ლამპარდმა დღეს შეიძლება არ ითამაშოს

„ლივერპულის“ საქმე კი ასეა: მერსისაიდელებს „ჩარლტონ ატლეტიკის“ კარში ბევრი გოლის გატანა სურთ, ვინაიდან წინა ტურში „მანჩესტერ სიტის“ დამარცხების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ქულებით გაუტოლდნენ, მაგრამ გატანილ-გაშვებულთა სხვაობით მაინც ვერ ამოუდგნენ გვერდში. ლივერპულელები დღეს მასპინძლობენ „ჩარლტონს“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი „უიგანთან“ ორშაბათამდე არ თამაშობს.

ლივერპულელი იონ არნე რიისე: „მეორე ადგილისთვის ბრძოლა მეტოქის რინგის კიდესთან მიწნეხვას ითხოვს და ამ ტურში ამიტომაც გვჭირდება ბევრი გოლის გატანა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეტი ზეწოლის ქვეშ უნდა მოვაქციოთ“.

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | : | პორტსმუთი |
| ფულემი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | : | ბირმინგემი |
| ნიუკასლი | : | ბოლტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩელსი |
| ვესტ ჰემი | : | ევერტონი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | სანდერლენდი |
| ტოტენჰემი | : | ბლექბერნი |
| **ზეგ** | | |
| უიგანი | : | მანჩესტერი |

„ჩარლტონს“ კი შემტევი ნახევარმცველი ჯეისონ იუელი უბრუნდება, რომელსაც ტრავმებისა და იმედგაცრუების 18 თვის შემდეგ ალან კერბიშლის იერთმეტეულში მოხვედრის შანსი ეძლევა.

„მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მეტად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა გამიჭირდა, ვინაიდან ამას ნაჩვევი არ ვარ“ — განაცხადა მან.

„არსენალის“ ამოცანას, ჩემპიონთა ლიგაში გასვლას, დღეს მისი თანაქალაქელი, ლონდონური „ფულემი“ შეეწინააღმდეგება. არსენალელი შვეიცარიელი ფილიპ სენდეროსი ამასთან დაკავშირებით ამბობს:

„ჩვენ ვცდილობთ, ყოველ თამაშს მაქსიმალური კონცენტრაციით მივუდგეთ და ქულა ქულას თანმიმდევრულად შევმატოთ. „არსენალი“ მომდევნო ჩემპიონთა ლიგაში აუცილებლად უნდა იყოს და საამისო კამპანია დღეს იწყება“!

**პაატა ქედია**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | | 2:0 | | 4:2 | 5:1 | 1:0 | | 1:0 | | 3:0 | | 1:1 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 27 | 22 | 3 | 2 | 54:16 | 69 | 13 | 1 | 0 | 33:7 | 40 | 9 | 2 | 2 | 21:9 | 29 |
| 2 | მანჩესტერი | 1:0 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | 4:1 | | | 4:0 | 1:1 | | 1:1 | | 4:2 | 1:0 | | 3:0 | | 3:0 | | 26 | 16 | 6 | 4 | 52:27 | 54 | 8 | 3 | 1 | 25:8 | 27 | 8 | 3 | 3 | 27:19 | 27 |
| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 317 | ქსანთი-ეგალეო | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 21:30 | 320 | კალითეა-ლევადიაკოსი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 318 | ატრომიტოსი-ირაკლისი | 2.05 | 3.00 | 3.35 | 1.21 | 1.27 | 1.58 |
| 17:30 | 319 | კალამარია-ოლიმპია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 22:00 | 321 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1.15 | 6.20 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 20:00 | 323 | იონიკოსი-პაოკ | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |
| 21:15 | 324 | პანათინაიკოსი-აეკ | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 17:30 | 325 | პანიონიოსი-აკრატიტოსი | 1.30 | 4.20 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.91 |

**თურქეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 334 | გალათასარაი-სამსუნი | 1.20 | 5.20 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.79 |
| 16:00 | 336 | მანისა-ტრაბზონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 326 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 16:00 | 328 | გაზიანთეფი-დენიზლი | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 16:00 | 329 | ანკარაგუჯუ-დიარბაქირი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 16:00 | 330 | სივასპორი-ერჯიესი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:00 | 331 | კაისერი-ფენერბაჩე | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 16:00 | 332 | მალათია-გენჩლერბირლიგი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 16:00 | 333 | კონია-რიზე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

**პოლონეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 347 | კორონა-პოგონი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 21:00 | 348 | ზაგლემბე-პოლონია | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 21:00 | 350 | ამიკა-ოდრა | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 351 | ლეხია-არკა | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 21:00 | 352 | ვისლა-გროცლინი | [illegible] | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

**ჩეხეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:25 | 354 | სლავია-პლზენი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 20:00 | 355 | ბანიკი-ბრნო | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 20:00 | 356 | სლოვაცკო-ლიბერეცი | 2.60 | 2.90 | 2.55 | 1.37 | 1.28 | 1.35 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 357 | ბლშანი-მოსტი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 358 | იაბლონეცი-ზლინი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 20:00 | 359 | სიგმა-პრშიბრამი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 360 | ტეპლიცე-ბოლესლავი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |

**6 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:40 | 361 | იჰლავა-სპარტა | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |

**სლოვაკეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 363 | ტრენჩინი-ინტერი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 17:30 | 364 | რუჟომბეროკი-ნიტრა | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 17:30 | 365 | ჟილინა-დუბნიცა | 1.40 | 3.70 | 6.50 | 1.01 | 1.15 | 2.35 |

**ხორვატია**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 368 | ინტერი-ზაგრები | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 20:00 | 370 | რიეკა-კამენი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 23:15 | 372 | ვარტეკსი-ჰაიდუკი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |

**იაპონია**

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08:00 | 385 | კოფუ-შიმიცუ | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 08:30 | 386 | ტოკიო-ოიტა | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ფულემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლივერპული-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | სიტი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | უიგანი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ინვერნესი-მოზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | სელტიკი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ლივინგსტონი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ჰერტა-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | დორტმუნდი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ჰანოვერი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | მილანი-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | სამპდორია-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | კიევო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ლეჩე-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | მესინა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ტრევიზო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ფიორენტინა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | უდინეზე-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | ლივორნო-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | რომა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | ვილიარეალი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | სევილია-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | რეალი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ხეტაფე-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | კადისი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ბარსელონა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | რასინგი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | სელტა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | მალაგა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სოსიედადი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | სოშო-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ლილი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ნიცა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | აიაჩო-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | მეცი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ტულუზი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | რენი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ტრუა-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | პსჟ-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 4.80 | 1.10 |
| 16003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.40 | 2.50 |
| 16004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.25 | 3.00 |
| 16005 | ფულემი-არსენალი | 2.00 | 1.60 |
| 16006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 16007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.50 | 2.20 |
| 16008 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.15 | 4.00 |
| 16010 | სიტი-სანდერლენდი | 1.12 | 4.00 |
| 16011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.40 | 2.40 |
| 16012 | უიგანი-მანჩესტერი | 2.80 | 1.30 |
| 16067 | ინვერნესი-მოზერველი | 1.40 | 2.40 |
| 16068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 3.80 | 1.11 |
| 16072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.15 | 3.50 |
| 16073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.15 | 3.50 |
| 16074 | ლივინგსტონი-ჰართსი | 3.80 | 1.11 |
| 16099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.35 | 2.60 |
| 16100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.25 | 3.10 |
| 16101 | ჰერტა-კიოლნი | 1.25 | 3.10 |
| 16103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.25 | 3.10 |
| 16105 | ჰანოვერი-შალკე | 1.70 | 1.80 |
| 16106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1.90 | 1.65 |
| 16107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.40 | 2.50 |
| 16109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.35 | 2.55 |
| 16165 | სამპდორია-იუვენტუსი | 2.40 | 1.40 |
| 16167 | კიევო-ლაციო | 1.50 | 2.20 |
| 16168 | ლეჩე-პალერმო | 2.10 | 1.55 |
| 16169 | მესინა-პარმა | 1.50 | 2.30 |
| 16170 | ტრევიზო-რეჯინა | 1.70 | 1.85 |
| 16171 | ფიორენტინა-სიენა | 1.15 | 4.00 |
| 16172 | უდინეზე-ასკოლი | 1.30 | 2.90 |
| 16173 | ლივორნო-კალიარი | 1.25 | 3.10 |
| 16174 | რომა-ინტერი | 1.75 | 1.85 |
| 16206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.20 | 3.40 |
| 16208 | სევილია-ბილბაო | 1.30 | 2.80 |
| 16209 | რეალი-ატლეტიკო | 1.30 | 2.80 |
| 16211 | ხეტაფე-ბეტისი | 1.50 | 2.20 |
| 16212 | კადისი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 16213 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.13 | 4.00 |
| 16214 | რასინგი-მალიორკა | 1.50 | 2.20 |
| 16215 | სელტა-ოსასუნა | 1.50 | 2.30 |
| 16216 | მალაგა-ვალენსია | 2.60 | 1.35 |
| 16217 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.60 | 1.90 |
| 16229 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.60 |
| 16231 | ლილი-ლე მანი | 1.25 | 3.00 |
| 16232 | ნიცა-ლანსი | 1.45 | 2.20 |
| 16233 | აიაჩო-ლიონი | 2.70 | 1.30 |
| 16235 | მეცი-მონაკო | 1.90 | 1.60 |
| 16236 | ტულუზი-ნანსი | 1.50 | 2.20 |
| 16237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.45 | 2.30 |
| 16238 | რენი-სტრასბური | 1.35 | 2.55 |
| 16239 | ტრუა-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 16240 | პსჟ-მარსელი | 1.40 | 2.40 |

## გოლი: წყვილი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ფულემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | სიტი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | უიგანი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ინვერნესი-მოზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | სელტიკი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ლივინგსტონი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ჰერტა-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰანოვერი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17163 | მილანი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | კიევო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ლეჩე-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | მესინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ტრევიზო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ფიორენტინა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | უდინეზე-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ლივორნო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | რომა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | სევილია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17209 | რეალი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ხეტაფე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | კადისი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17214 | რასინგი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | სელტა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მალაგა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17229 | სოშო-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ლილი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ნიცა-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | აიაჩო-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | მეცი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ტულუზი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | რენი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17239 | ტრუა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | პსჟ-მარსელი | 1.85 | 1.95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09:00 | 387 | ნაგოია-წურუგა | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 09:00 | 388 | ივატა-ფუკუოკა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 10:00 | 389 | ომია-ონაპარა | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 10:00 | 390 | პიროსიმა-კაშიმა | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 10:00 | 391 | კავასაკი-ნიიგატა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 10:30 | 392 | იოკოჰამა-კოფუ | 1.90 | 3.30 | 3.35 | 1.20 | 1.21 | 1.66 |

**მექსიკა**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 393 | მონტერეი-ატლანტე | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 394 | კრუზ აზული-ტიგრესი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 395 | ვერაკრუსი-დორადოსი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 396 | მორელია-ხაგუარესი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 397 | ნეკახა-ჩივასი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:45 | 398 | ატლასი-ტოლუკა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 399 | სან ლუისი-სანტოსი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 23:45 | 400 | ამერიკა-ტეკოსი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 401 | პაჩუკა-პუმასი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |

**არგენტინა**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 412 | ტირო ფედერალი-კილმესი | 2.80 | 3.20 | 2.15 | 1.49 | 1.21 | 1.28 |
| 23:45 | 417 | ნიუელსი-ველესი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 419 | სან ლორენსო-ინდეპენდიენტე | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 413 | ბანფილდი-არსენალი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:45 | 415 | რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| 23:45 | 416 | კოლონი-ხიმნასია ჟ | 1.45 | 3.60 | 6.30 | 1.03 | 1.17 | 2.29 |
| 23:45 | 420 | არგ. ხუნიორსი-ლანუსი | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |

**ჩილე**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 431 | კოკიმბო-უაჩიპატო | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:45 | 437 | კოლო კოლო-უონდერერსი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 23:45 | 438 | კობრელოა-უნ.კატოლიკა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 433 | ანტოფაგასტა-ჰიგინსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 434 | უნ.ესპანიოლა-პალესტინო | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 435 | უ.კონსეპსიონი-რეინჯერსი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 19:00 | 436 | პუერტო მონტი-მორნინგი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 439 | კობრესალი-უნ.ჩილე | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |

**დანია. თასი**

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 479 | ოლბორგი-ოდენსე | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 20:00 | 480 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |

**ფინეთი. თასი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 484 | ტურკუ-იარო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 14:15 | 485 | ჰონკა-მარიეჰამნი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 722 | ვიტიაზი-ცსკა | 2.50 | 4.20 | 1.90 | 1.56 | 1.07 | 1.30 |
| 14:00 | 723 | ნეფტეხიმიკი-ხიმიკი | 2.15 | 4.20 | 2.20 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 14:00 | 724 | სიბირი-სპარტაკი | 2.05 | 4.20 | 2.40 | 1.37 | 1.10 | 1.52 |
| 14:00 | 725 | მაგნიტოგორსკი-ავანგარდი | 1.50 | 4.50 | 4.00 | 1.12 | 1.09 | 2.11 |
| 14:00 | 726 | აკ-ს.იულაევი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 14:00 | 727 | ლოკომოტივი-აკ ბარსი | 1.75 | 4.30 | 2.90 | 1.24 | 1.09 | 1.73 |
| 14:00 | 728 | მვდ-დინამო | 2.90 | 4.30 | 1.70 | 1.73 | 1.07 | 1.21 |
| 14:00 | 729 | ნოვოკუზნეცკი-ლადა | 1.80 | 4.30 | 2.80 | 1.26 | 1.09 | 1.69 |
| 14:00 | 730 | მოლოტი-სევერსტალი | 3.20 | 4.40 | 1.60 | 1.85 | 1.06 | 1.17 |

**კალათბურთი. იტალია**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 856 | რომა-ბენეტონი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 23:30 | 859 | აველინო-კანტუ | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 23:30 | 862 | ბიელა-ბაპობი | 1.45 | 12.00 | 2.40 | 1.29 | 1.00 | 2.00 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 854 | კალაბრია-ვ.ბოლონია | 2.80 | 12.00 | 1.35 | 2.27 | 1.00 | 1.21 |
| 21:15 | 855 | უდინე-სიენა | 1.85 | 12.00 | 1.80 | 1.66 | 1.00 | 1.56 |
| 15:00 | 857 | ბოლონია-ნაპოლი | 1.20 | 12.00 | 3.10 | 1.09 | 1.00 | 2.46 |
| 21:15 | 860 | ორლანდო-მილანი | 2.35 | 12.00 | 1.45 | 1.96 | 1.00 | 1.29 |
| 21:15 | 861 | ტერამო-ლივორნო | 1.45 | 12.00 | 2.40 | 1.29 | 1.00 | 2.00 |

**კალათბურთი. ესპანეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 863 | სან ფერნანდო-მანრესა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:00 | 866 | ბრეოგანი-აუნაკანარია | 1.95 | 12.00 | 1.65 | 1.67 | 1.00 | 1.45 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 864 | უნიკახა-გრანადა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 22:00 | 865 | ტაუ-ვალიადოლიდი | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 15:30 | 867 | ვალენსია-ესტუდიანტესი | 1.50 | 12.00 | 2.35 | 1.33 | 1.00 | 1.96 |
| 22:00 | 868 | რეალი-ფუენლაბრადა | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| 15:30 | 869 | ხუვენტუდი-ალიკანტე | 1.25 | 12.00 | 3.40 | 1.13 | 1.00 | 2.64 |
| 22:00 | 870 | ბარსელონა-მენორკა | 1.11 | 12.00 | 5.00 | 1.01 | 1.00 | 3.52 |
| 22:00 | 871 | ბილბაო-ხირონა | 2.00 | 12.00 | 1.70 | 1.71 | 1.00 | 1.48 |

**კალათბურთი. საბერძნეთი**

**4 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 872 | ირაკლისი-აპოლონი | 1.35 | 12.00 | 2.85 | 1.21 | 1.00 | 2.30 |
| 21:00 | 875 | პანათინაიკოსი-არისი | 1.08 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 19:00 | 876 | აეკ-კოლოსოსი | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 21:00 | 877 | პაოკ-პანიონიოსი | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |

**5 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 873 | მაკედონიკოს-ოლიმპიაკოსი | 3.80 | 12.00 | 1.15 | 2.88 | 1.00 | 1.04 |
| 20:00 | 874 | ლარისა-ოლიმპია | 1.65 | 12.00 | 2.00 | 1.45 | 1.00 | 1.71 |
| 21:00 | 878 | მარუსი-პანელინიოსი | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ფულემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | სიტი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.60 | 2.00 |
| 12012 | უიგანი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12067 | ინვერნესი-მოზერველი | 1.70 | 1.90 |
| 12068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |
| 12070 | სელტიკი-აბერდინი | 2.10 | 1.55 |
| 12072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.90 | 1.70 |
| 12074 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 1.90 | 1.70 |
| 12099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12101 | ჰერტა-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12105 | ჰანოვერი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 12108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 12163 | მილანი-ემპოლი | 2.10 | 1.55 |
| 12165 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12167 | კიევო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12168 | ლეჩე-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12169 | მესინა-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12170 | ტრევისო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12171 | ფიორენტინა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12172 | უდინეზე-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12173 | ლივორნო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12174 | რომა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12208 | სევილია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12209 | რეალი-ატლეტიკო | 2.00 | 1.60 |
| 12211 | სეტაფე-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12212 | კადისი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ბარსელონა-დეპორტივო | 2.00 | 1.60 |
| 12214 | რასინგი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12215 | სელტა-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12216 | მალაგა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12217 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12229 | სოშო-ბორდო | 1.40 | 2.50 |
| 12231 | ლილი-ლე მანი | 1.50 | 2.30 |
| 12232 | ნიცა-ლანსი | 1.50 | 2.30 |
| 12233 | აიაჩო-ლიონი | 1.50 | 2.20 |
| 12235 | მეცი-მონაკო | 1.60 | 2.10 |
| 12236 | ტულუზი-ნანსი | 1.50 | 2.20 |
| 12237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.50 | 2.20 |
| 12238 | რენი-სტრასბური | 1.60 | 2.00 |
| 12239 | ტრუა-ოსერი | 1.45 | 2.30 |
| 12240 | პსჟ-მარსელი | 1.55 | 2.20 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ფულემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | სიტი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | უიგანი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13067 | ინვერნესი-მოზერველი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | სელტიკი-აბერდინი | 1.90 | 1.70 |
| 13072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 1.70 | 1.90 |
| 13099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | ჰერტა-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 13105 | ჰანოვერი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.55 | 2.20 |
| 13108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.10 |
| 13109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.60 | 1.95 |
| 13163 | მილანი-ემპოლი | 1.90 | 1.70 |
| 13165 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13167 | კიევო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13168 | ლეჩე-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13169 | მესინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ტრევისო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13171 | ფიორენტინა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13172 | უდინეზე-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13173 | ლივორნო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | რომა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13208 | სევილია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13209 | რეალი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13211 | სეტაფე-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13212 | კადისი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13214 | რასინგი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13215 | სელტა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13216 | მალაგა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13217 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13229 | სოშო-ბორდო | 1.80 | 1.70 |
| 13231 | ლილი-ლე მანი | 1.70 | 1.90 |
| 13232 | ნიცა-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13233 | აიაჩო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13235 | მეცი-მონაკო | 1.85 | 1.70 |
| 13236 | ტულუზი-ნანსი | 1.85 | 1.70 |
| 13237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.85 | 1.70 |
| 13238 | რენი-სტრასბური | 1.85 | 1.70 |
| 13239 | ტრუა-ოსერი | 1.85 | 1.70 |
| 13240 | პსჟ-მარსელი | 1.85 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 2.60 | 1.08 |
| 14003 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.65 | 2.30 |
| 14004 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.40 | 2.40 |
| 14005 | ფულემი-არსენალი | 2.10 | 1.70 |
| 14006 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14007 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 2.10 |
| 14008 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.15 | 2.60 |
| 14010 | სიტი-სანდერლენდი | 1.15 | 2.60 |
| 14011 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.65 | 2.10 |
| 14012 | უიგანი-მანჩესტერი | 2.40 | 1.40 |
| 14067 | ინვერნესი-მოზერველი | 1.65 | 2.20 |
| 14068 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 2.40 | 1.15 |
| 14070 | სელტიკი-აბერდინი | 1.04 | 2.90 |
| 14072 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.25 | 2.50 |
| 14073 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.20 | 2.60 |
| 14074 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 2.60 | 1.10 |
| 14099 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.60 | 2.30 |
| 14100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.35 | 2.40 |
| 14101 | ჰერტა-კიოლნი | 1.35 | 2.40 |
| 14103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.35 | 2.40 |
| 14105 | ჰანოვერი-შალკე | 1.90 | 1.90 |
| 14106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1.95 | 1.85 |
| 14107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.90 | 1.90 |
| 14108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.60 | 2.30 |
| 14165 | სამპდორია-იუვენტუსი | 2.20 | 1.70 |
| 14167 | კიევო-ლაციო | 1.80 | 2.00 |
| 14168 | ლეჩე-პალერმო | 2.00 | 1.80 |
| 14169 | მესინა-პარმა | 1.75 | 2.10 |
| 14170 | ტრევისო-რეჯინა | 1.90 | 1.90 |
| 14171 | ფიორენტინა-სიენა | 1.35 | 2.50 |
| 14172 | უდინეზე-ასკოლი | 1.60 | 2.30 |
| 14173 | ლივორნო-კალიარი | 1.40 | 2.40 |
| 14174 | რომა-ინტერი | 1.90 | 1.90 |
| 14206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14208 | სევილია-ბილბაო | 1.45 | 2.40 |
| 14209 | რეალი-ატლეტიკო | 1.45 | 2.40 |
| 14211 | სეტაფე-ბეტისი | 1.70 | 2.10 |
| 14212 | კადისი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14213 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.13 | 2.60 |
| 14214 | რასინგი-მალიორკა | 1.80 | 2.00 |
| 14215 | სელტა-ოსასუნა | 1.70 | 2.10 |
| 14216 | მალაგა-ვალენსია | 2.40 | 1.45 |
| 14217 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14229 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.85 |
| 14231 | ლილი-ლე მანი | 1.40 | 2.40 |
| 14232 | ნიცა-ლანსი | 1.70 | 2.10 |
| 14233 | აიაჩო-ლიონი | 2.40 | 1.45 |
| 14235 | მეცი-მონაკო | 2.00 | 1.80 |
| 14236 | ტულუზი-ნანსი | 1.70 | 2.10 |
| 14237 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.65 | 2.20 |
| 14238 | რენი-სტრასბური | 1.60 | 2.30 |
| 14239 | ტრუა-ოსერი | 1.90 | 1.90 |
| 14240 | პსჟ-მარსელი | 1.65 | 2.20 |

# ჯერ მწვრთნელი, მერე ყველაფერი
## ჰერბერტი გაბაშვილმაც დაადასტურა

*კალათბურთის ფედერაციას ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელი კარგა ხანია, შერჩეული ჰყავს და მასთან პირობებზეც შეთანხმებულია. ყველაფერს კი წერტილი ალბათ ორშაბათს დაესმევა, როცა გორდონ ჰერბერტთან კონტრაქტს ხელი მოეწერება. კანადელმა სპეციალისტმა ქართველებს გასულ საკვალიფიკაციოზეც უთავკაცა, თუმც A დივიზიონში ვერ ალაზევა და კონტრაქტიც ავტომატურად გაწყდა. მოლაპარაკებები მთელი ზამთარი მიმდინარეობდა და ჰერბერტთან შეთანხმებაც მოხერხდა, თუმც აქამდე იმიტომ გაიწელა ხელშეკრულების გაფორმება, რომ ფედერაციაში ქართული სპორტის დიდმოხელეთა პასუხს ელოდნენ. გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერაც მიიღეს და...*


[illegible] ფოტო

ბესიკ ლიპარტელიანი და გორდონ ჰერბერტი ყველაფერზე შეთანხმდნენ

— ორშაბათს ალბათ ხელს მოვაწერთ ჰერბერტთან კონტრაქტს და ის ოფიციალურად გახდება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.

**— ალბათ? არის კიდევ რამე პრობლემა?**

— აბსოლუტურად ყველაფერი შეთანხმებულია, მაგრამ სანამ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერთ, გადაჭრით თქმა არ მინდა. პრინციპში, პრობლემა არც აქამდე ყოფილა, უბრალოდ, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ტურნირიდან ჩამოსვლას და ოფიციალურ დასტურს ველოდით. ბატონი გოკა გაბაშვილი უკვე თბილისშია. მან სიტყვიერი გარანტია მომცა, რომ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებაში ყველანაირად დაგვეხმარება.

**— ჰერბერტს კონტრაქტს პირადად გაუფორმებთ?**

— არა, ხელშეკრულებას ხელს ჩვენ მოვაწერთ და ჰერბერტთან ფოსტით გავგზავნით საფრანგეთში. მასთან ყველაფერი შეთანხმებულია და უკვე ელოდება ჩვენგან ხელმოწერილ კონტრაქტს.

**— ახლახან შედგა ახალგაზრდული ნაკრების კენჭისყრა, რომელსაც მწვრთნელი ფაქტობრივად არ ჰყავს...**

— ეს საკითხი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ გადაწყდება. ჰერბერტის სიტყვაზე ბევრი იქნება დამოკიდებული. მან უნდა გადაწყვიტოს, უფრო სწორად, რეკომენდაცია მოგვცეს, თუ ვინ უთავკაცებს ახალგაზრდებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 21-წლიანებსაც იგივე შტაბი უხელმძღვანელებს, რომელიც ეროვნულს გაწვრთნის.

**— ანუ შესაძლებელია, რომ ახალგაზრდებსაც ჰერბერტმა უთავკაცოს?**

— არა, მაგრამ ის აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ ასაკობრივი ნაკრების მომზადებაში. შესაძლოა, ახალგაზრდების წვრთნაში ჩაებას ეროვნულში ჰერბერტის თანაშემწე კიმ შილდერი, რომელიც ნუგზარ კანდელაკსა და დავით უსტიაშვილს შეუერთდება.

**— ამ სამიდან ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი?**

— კანდიდატურა ჰერბერტმა უნდა შემოგვთავაზოს, მაგრამ აუცილებლად უნდა დაგვისაბუთოს, თუ რატომ ანიჭებს უპირატესობას კონკრეტულ კანდიდატს.

**— შემონდ უილიამსის საკითხი როდის გაირკვევა?**

— ჰერბერტს კონტრაქტს გავუფორმებთ და უილიამსის დარჩენა-არდარჩენაზეც მერე ვიმსჯელებთ. ესეც მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, სჭირდება თუ არა უილიამსი ნაკრებში. თუმც არა მგონია, უარი თქვას და უილიამსს უახლოეს დღეებში შევეხმიანებით. მისგან უნდა მივილოთ გარანტია, რომ თამაშამდე ორი კვირით ადრე მაინც ჩამოვა და ნაკრებთან ერთად [illegible] ისე, სიმართლე გითხრათ, [illegible], ფონს უცხოელის გარეშე გავსულიყავით, მაგრამ ლუქსემბურგსა და ისლანდიას თუ იოლად მოვერევით, ფინეთთან და ავსტრიასთან აუცილებლად დაგვჭირდება უილიამსი.

**— ეგებ ვერ მოგცათ უილიამსმა იმის გარანტია, რომ ოფიციალურ მატჩამდე ორი კვირით ადრე ჩამოვა...**

— არაა გამორიცხული, რომ სხვა ამერიკელი ვიხმოთ ნაკრებში. ჩვენ ხომ ყველა მეტოქესთან არ გვჭირდება დახმარება. იმასაც გააჩნია, როგორ ვითამაშებთ საწყის მატჩებს ლუქსემბურგთან და ისლანდიასთან. უილიამსი იქნება თუ სხვა, შესაძლოა, მხოლოდ ფინეთთან გასვლით მატჩში დავიხმაროთ, ან ვუთხრათ, ბოლო გადამწყვეტ შეხვედრაში გვჭირდებითო. ერთი სიტყვით, ჰერბერტს დავნიშნავთ და უცხოელის საქმეც მერე გაირკვევა.

**— მეტოქეებზე რა იცით?**

— ფინეთთან და ლუქსემბურგთან ბოლო საკვალიფიკაციოზე ორ-ორჯერ ვითამაშეთ და ამ გუნდზე საკმაოდ საფუძვლიანი წარმოდგენა გვაქვს. ისლანდია ალბათ თავს არ გამოიდებს, ხოლო ავსტრია სერიოზული კონკურენტია, რომელსაც დიდი სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია. ეს ქვეყანა ფინანსურად ძალიან ძლიერია და თუ მოინდომეს, ალბათ ავსტრიელებიც გაუკეთებენ ამერიკელ კალათბურთელს ნატურალიზაციას. მოკლედ, წინ დიდი ბრძოლები გველის და ჩვენც წარმატების მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებთ.

**ირაკლი პერტაია**



# გავტეხოთ პორტუ-გალია
## შარშანწინდელიც კი გვახსოვს

**11 მარტს** ევროპის ერთა თასის მესამე სათამაშო დღეა. საქართველო ამ ტურნირის 2003 წლის გამარჯვებულს, პორტუგალიას მასპინძლობს. სხვათა შორის, ბოლო სამი სეზონია, ჩვენები მიჯრით აგებენ პორტუგალიელებთან. ბორჯღალოსნებმა ორი მატჩი სტუმრად, ერთი კი შინ წააგეს და ახლა ამ ნავსიანი სერიის შეწყვეტას ეცდებიან.

შინაურ-ლეგიონერებიანად ჩვენები 6 მარტს თბილისში შეიკრიბებიან და ოთდღიან მზადებას გაივლიან. ქართველთა სამწვრთნელო შტაბი პორტუგალიელებს რუმინეთთან ნათამაშებ რაზმს დაახვედრებს, ოღონდ ორი ცვლილებით. ფრანგული „მონტობანის“ პირველხაზელ ავთო კოპალიანს ფრანგულივე „პერიგოს“ ბურჯი მიხეილ სუჯაშვილი შეცვლის, ხოლო „მონპელიეს“ მეორეხაზელი მამუკა გორგოძემ ტრავმა მოირჩინა და პორტუგალიასთან უბრუნდება ნაკრებს. რუმინეთში მის მაგივრად ვეტერანმა ვიქტორ დიდებულიძემ ირაგბა, ახლა კი ავტომატურად დარჩა 22-კაცა რაზმს მიღმა.

ბორჯღალოსანთა საპორტუგალიო შემადგენლობაში ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე მხოლოდ ორი მორაგბეა — ზვიად მაისურაძე და გიორგი შკინინი. სტაჟიანი ბორჯღალოსანი ბესიკ ხამაშურიძე იტალიურ „როვიგოში“, ხოლო რატი ურუშაძე რუსული „ენისეიში“ ჩაუქობენ. შერკინების სათადარიგო გამთამაშებელი ბიძინა სამხარაძე ზედ რუმინეთთან მატჩის წინ გალეგიონერდა და რუმინულ „ფარულში“ მოეწყო. დანარჩენები საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონებში რაგბობენ.

საქართველოს ნაკრების საპორტუგალიო შემადგენლობა კი ასეთია:

***შერკინება:*** *გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი (ორივე მონფერანი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), მიხეილ სუჯაშვილი (პერიგო), გიორგი კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე (ორივე ექსი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ვიარზონი), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (შალონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), რატი ურუშაძე (ენისეი);*

***უკანა ხაზი:*** *ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული), პალიკო ჯიმშელაძე (ბობინი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი), თემურ სოხაძე (ვიარზონი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე), ბესიკ ხამაშურიძე (როვიგო), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი), ოთარ ბარკალაია (ანდორა), გიორგი შკინინი (ხულიგანა)*


[illegible] ფოტო





[illegible] ფოტო

# ჩეხური რეპეტიცია

**დღეს** მსოფლიოს თასების სერია პრაღაში გაგრძელდება. ერთი შეხედვით ამ რიგით ტურნირს საქართველოს ნაკრებისთვის უდიდესი დატვირთვა აქვს. შოთა ხაბარელმა ჩეხეთში ის ცამეტი შეგირდი წაიყვანა, რომელთაგანაც ევროშვიდეული უნდა შეარჩიოს.

ხაბარელის გუნდი პრაღაში ორი შემადგენლობით იჭიდავებს. გამონაკლისი მხოლოდ 90 კილოგრამი წონითი კატეგორია იქნება. წინასწარი გეგმით ირაკლი ცირეკიძესთან ერთად ზურაბ ზვიადაურიც უნდა გასულიყო ჩეხურ ტატამზე, მაგრამ ბოლო მომენტში ისევ ტრავმამ არ გაუშვა. ოლიმპიური ჩემპიონის დაბრუნება კიდევ ერთი თვით გადაიდო, თუმც ზვიადაურს საევროპე შემადგენლობაში მოხვედრის შანსი მაინც ექნება. ოლიმპიური ჩემპიონი სავარაუდოდ, ლისაბონის მსოფლიოს თასზე იჭიდავებს.

ორდღიანი ტურნირის პირველი დღე სამ საწყის წონას დაეთმობა. 60 კილოგრამში საქართველოს სახელით ნესტორ ხერგიანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი გამოვლენ, 66-ში ზაზა კედელაშვილი და მინდია ხომიზური, ხოლო 73-ში დავით ქევხიშვილი და დავით მარგოშვილი. ხვალ კი ტატამზე გრიგოლ მამრიკიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი (ორივე 81 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), გიორგი ყიზილაშვილი, რევაზ ჩიკოიძე (ორივე 100 კგ), ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე +100 კგ) გავლენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ციგურებიანი ველომრბოლი
## ანუ აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ

**ტურინის** ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა 5 000 მეტრზე ციგურებით რბოლა უდიდეს ინტერესს იწვევდა. მთავარი ინტრიგა გერმანელი კლაუდია პეხშტაინისა და კანადელი კლარა ჰიუზის გამოსვლას ახლდა. გერმანელი თავის მეოთხე ოლიმპიურ სარბიელზე მეოთხე ოქროს მოპოვებაზე ოცნებობდა.

ეს თამაშები კანადელისთვისაც მეოთხე იყო, ოღონდ პირველი ორი მისთვის „მწვანე“, მომდევნოები კი „თეთრი“ თამაშები გახლდათ. პირველ ორ ოლიმპიადაზე, ატლანტსა და სიდნეიში, კლარა ჰიუზმა საგზატკეცილო ველორბოლაში იქროლა. ორი ბრინჯაოს მედალი პირველსავე ცდაზე მოიპოვა, მერე კი სოლტ ლეიკ სიტში ციგურებით რბოლაშიც ავიდა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე და გახდა მეოთხე სპორტსმენი, ვინც მედალი თეთრ ოლიმპიადაზეც „იშოვა“ და მწვანეზეც. თუმცა, კლარა ჰიუზისგან განსხვავებით მის წინამორბედებს ჯილდოების კოლექციაში თითო ოქროს მედალი ჰქონდათ. ამიტომაც კანადელი, ბუნებრივია, მათ რანგში სრულფასოვან ამაღლებაზე ოცნებობდა.

რაკი მსგავსი მიღწევები მეტად უნიკალურია, აქ ჰიუზის წინამორბედების გახსენება, რაღა თქმა უნდა, უპრიანი იქნება.

პირველი სპორტსმენი, ვინც ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებზე თავი გამოიჩინა, ამერიკელი ედუარდ ინგი გახლდათ. მან ჯერ 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა კრივში, მერე კი 1932 წელს ლეიკ პლესიდში ბობსლეიში დაიმსახურა ოქროს მედალი.

ეს ამერიკელი დღემდე ერთადერთია, ვინც ზაფხულისა და ზამთრის თამაშების ჩემპიონობა შესძლო.

ედუარდ ინგის მერე იყო ნორვეგიელი იაკობ ტულინი, ვინც 1924 წელს შამონში პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა „მფრინავ“ მოთხილამურეთა შორის მოიპოვა, მერე კი 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე აფროსანთა შორის ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ამის მერე მსგავს წარმატებებს მრავალი წლის განმავლობაში ვერავინ მიაღწია, გასული საუკუნის 80-იან წლებში კი ამ მხრივ თავი გამოიჩინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კრისტი დულინგმა, რომელიც კლარა ჰიუზის უშუალო წინამორბედი გახლავთ.

ამ გერმანელმა 1984 წელს სარაევოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ციგურებით რბოლაში იპირველა, მომდევნო, კალგარის „თეთრ“ ოლიმპიადაზე თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვა, იმავე წელიწადს უკვე სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ველოსიპედს მოახტა და მეორე ადგილი დაიკავა, მერე კი კლარა ჰიუზის დროც მოვიდა.

კლარა ჰიუზი თავისი წინამორბედივით ერთდროულად ველოსპორტსაც მისდევდა და ციგურებით რბოლასაც, თავდაპირველად ციგურებმა გაიტაცა და მერე ველორბოლებსაც გაუშინაურდა და თავად განსაჯეთ: 1990 წლის აქეთ ერთგანაც და მეორეგანაც მრავალგზის მოიპოვა კანადის ჩემპიონობა. გაიმარჯვა თანამეგობრობის თამაშებზეც და პანამერიკულ თამაშებზეც, მსოფლიო რანგის შეჯიბრებებზე კი პირველად 1994 წელს გამოვიდა. ჯერ ტურ დე ფრანსის პროლოგი მოიგო, მერე კი პალერმოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ველოსიპედით მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მომდევნო წელს თავისი ველოსიპედით კვლავ მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლს დაეუფლა, 1996 წელს კი ატლანტაში ორგზის ბრინჯაოს მედალოსანიც შეიქნა.

სამწუხაროდ, კლარა ჰიუზს მომდევნო ორი წელიწადი ტრავმების გამო გაუცდა, მერე კი კვლავ გამოვიდა სარბიელზე და 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტში პირველი „თეთრი“ ბრინჯაოც გამოიმუშავა.

კლარა ჰიუზი კიდევ ერთ წელიწადს კვლავ ორივე სახეობაში ვარჯიშობდა. ათენის ოლიმპიადაზე ისევ ველოსიპედზე ამხედრებს აპირებდა, მაგრამ იფიქრა, ორი კურდღლის დევნაში იქნებ ოლიმპიური ოქრო მიუწვდომელ ოცნებად დამრჩესო და „მწვანე“ თამაშების გამოტოვება ამჯობინა, რათა წლევანდელი „თეთრი“ ოლიმპიადისთვის უკეთ მომზადებულიყო.

სწორედ გათვალა და გაუმართლა კიდეც — 5 000 მეტრზე რბოლაში ჩემპიონობა იზეიმა. ტურინში 33 წლის კლარა ჰიუზი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც 7 წუთი დაახურდავა, თანაც თვით კლაუდია პეშტაინს სძლია, ვინც მეოთხე ოლიმპიადაზე მეოთხე ოქროს მოპოვებას თავის საფირმო დისციპლინაში ლამობდა, თუმცა აქ ვერცხლს დაეუფლა. 34 წლის პეშტაინმა მეოთხე ოლიმპიადა უოქროოდ მაინც არ დატოვა, მანამდე მან გუნდურ რბოლაში იზეიმა ჩემპიონობა და მთელს მსოფლიოში ალექსანდრ ტიხონოვისა და რიკო გროსის შემდეგ გახდა მესამე, ვინც ზედიზედ ოთხ თეთრ ოლიმპიადაზე ოქრო დაიმსახურა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჰოკეი

# ბოლოს გრეცკიმაც ამოისუნთქა

2 მარტი

**ფინიქსი 6:2 დალასი**

*2:0 2:1 2:1*

1:0 სენდერსონი (19), 2:0 რაინპრეხტი (20), 3:0 დოუნი (26), 3:1 გერინი (35), 4:1 მარა (36), 4:2 არნოტი (45), 5:2 სენდერსონი (53), 6:2 დოუნი (58)

„ფინიქსის“ დამაჯერებელი გამარჯვება უეინ გრეცკისთვის ბალზამივით გამოდგა ბოლო ხანებში გადატანილი პრობლემების შემდეგ. კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ გრეცკის მეთაურობით კანადის ნაკრებმა ოლიმპიადაზე ვერაფერს მიაღწია, ტურინში გამგზავრებამდე კი „ფინიქსის“ უხეირო სერია მისი ცოლის ჯანეტისა და ასისტენტი მწვრთნელის რიკ ტოკეტის იატაკქვეშა ტოტალიზატორში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სკანდალს დაემთხვა.

ოლიმპიადით გამოწვეული პაუზა დროული აღმოჩნდა გრეცკის შეგირდებისათვის, რომლებმაც სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენეს. „ფინიქსის“ კაპიტანი შეინ დოუნიც კი მოწოდების სიმაღლეზე იყო — ორ გოლს ორი პასი დაამატა. აი, „დალასის“ ლიდერები კი, ეტყობა, ჯერაც განიცდიან ოლიმპიადაზე წარუმატებლობას. საქმე ისაა, რომ ტეხასელთა წამყვანი მოთამაშეები მაიკ მოდანო და ბილ გერინი აშშ-ს ნაკრების ღირსებას იცავდნენ და გარდა მეოთხედფინალში დამარცხებისა, ქვეყნის ფედერაციის მიერ ჩატარებული ორგანიზაციული ღონისძიებებითაც უკმაყოფილონი დარჩნენ. მაგალითად, მოდანომ „USA HOCKEY“ იმის გამო გააკრიტიკა, რომ ჩინოვნიკებმა საერთოდ არ იზრუნეს ტურინში მათ გამგზავრებასა და სასტუმროში დაბინავებაზე, რამაც გუნდზე ნეგატიურად იმოქმედა. მართალია, მერე მოდანომ ბოდიში მოიხადა მკაცრი ტონისთვის, მაგრამ თავისი სიტყვები არ უარყო, ხოლო ბილ გერინმა მხარი დაუჭირა პარტნიორს. მოკლედ, ჯერჯერობით „დალასის“ ლიდერები უფრო ოლიმპიურ უიღბლობაზე ფიქრობენ და ეს მათი თამაშის ხარისხზეც აისახება.

**აილენდერსი 3:2 ნიუ ჯერსი**

*0:0 2:1 0:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

1:0 სოპელი (29), 1:1 გომესი (30), 2:1 ბლეიკი (33), 2:2 პანდოლფო (49), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: შატანი

ამ თამაშში ბულიტები გარდაუვალი იყო. ეს იმიტომ, რომ ძირითად დროსა და ოვერტაიმში „აილენდერსის“ ლიდერმა მიროსლავ შატანმა თავი ვერ გამოიჩინა და ვერაფრით აღნიშნა პირველი შვილის, თანაც ვაჟის შეძენა. ამიტომაც, თითქოს სიმბოლურად სლოვაკს ბულიტებში გამორჩევის შანსი მიეცა და „მირომაც“ არ დააყოვნა. მან გუნდის პირველივე ბულიტი გამოიყენა, ხოლო მისმა პარტნიორმა მეკარემ რიკ დიპიეტრომ მეტოქეთა ყველა დარტყმა აილო.

„ასეთ თამაშში ბიჭებს როგორ დავალალატებდი. ამიტომაც გადავწყვიტე ფრენა და კლუბს შევუერთდი“ — თქვა ნამატჩევს შატანმა, რომელიც თამაშამდე მხოლოდ ორიოდე საათით ადრე ჩავიდა ნიუ იორკში.

**კალგარი 3:1 სენტ ლუისი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 დონოვანი (4), 2:0 იგინლა (21), 2:1 სტემპნიაკი (54), 3:1 იგინლა (60)

„კალგარის“ ლიდერმა ჯერომ იგინლამ ორ გოლს გემრიელი ჩხუბიც დაამატა. თამაშის შუაგულში იგინლა სენტლუისელ ბარეტ ჯეკმენს შეერკინა, თანაც მას შემდეგ, რაც ორივემ ორწუთიანი ჯარიმა მოიხადა. ეტყობა, საჯარიმოთა სკამზე ჯდომისას მათ შელაპარაკება მოუვიდათ, რაც შემდგომ ყინულზე ანგარიშსწორებით გაგრძელდა.

**ფილადელფია 1:6 რეინჯერსი**

*0:1 1:4 0:1*

0:1 ნიულანდერი (18), 0:2 იაგრი (24), 0:3 იაგრი (25), 0:4 ბეტსი (26), 1:4 მაიერი (30), 1:5 უორდი (30), 1:6 რუჩინსკი (59)

ჩეხეთის ნაკრების ქომაგები ცოტა არ იყოს, გაოცებულნი არიან. ოლიმპიადაზე გამოსვლისას იარომირ იაგრმა ვერაფრით დაამახსოვრა თავი ფანებს, მაგრამ ამერიკაში დაბრუნებისთანავე ძველებური ჟინით ათამაშდა. მორიგი ორი შაიბით და საგოლე პასით მან კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა ბომბარდირთა დავაში და დივიზიონში მთავარი კონკურენტის „ფილადელფიის“ განადგურებაში უდიდესი წვლილიც შეიტანა.

**ნეშვილი 3:1 ვანკუვერი**

*0:0 1:1 2:0*

0:1 ნესლუნდი (23), 1:1 პერო (18), 2:1 ჯონსონი (41), 3:1 სილინჯერი (47)

**ოტავა 7:1 ვაშინგტონი**

*2:0 4:0 1:1*

1:0 ფიშერი (2), 2:0 რედენი (13), 3:0 ვერმეტი (21), 4:0 სპეცა (24), 5:0 შეფერი (28), 6:0 პოტიე (32), 7:0 სმოლინსკი (46), 7:1 ოვეჩკინი (55)



**ლოს ანჯელესი 3:2 მინესოტა**

*1:1 1:0 1:1*

1:0 კამალერი (5), 1:1 გაბორიკი (7), 2:1 რობიტაილი (29), 2:2 გაბორიკი (56), 3:2 ვისნოვსკი (58)

**ფლორიდა 0:1 მონრეალი**

*0:0 0:0 0:1*

0:1 კოვალიოვი (55)

**ბოსტონი 3:2 ატლანტა**

*0:0 2:1 1:1*

1:0 მიურეი (25), 1:1 ბონდრა (27), 2:1 ფიცჯერალდი (29), 2:2 კოვალჩუკი (48), 3:2 შტურმი (58)

**კოლორადო 1:0 კოლუმბუსი**

*0:0 1:0 0:0*

1:0 კლარკი (36)



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვანო გრიქუროვს გიორგი ასანიძისა ისევ ეიმედება

# ნაკრები პოლონეთიდან მოდის, ასანიძე ამერიკაში წავიდა

*საქართველოს ძალოსანთა ნაკრები თვენახევრიანი პოლონური შეკრებიდან თბილისში ბრუნდება. ვანო გრიქუროვმა ევროპაში არსენ კასაბიევი, ალბერტ კუზილოვი, გია მაჭავარიანი, ზვიად სამუკაშვილი და რაულ ცირეკიძე ავარჯიშა. ეს ის ხუთეულია, აპრილის ბოლოს პოლონეთში ევროპირველობისთვის რომ შეუგულებია ნაკრების თავკაცს, თუმც საბოლოო სია მარტო მასზეც არ არის დამოკიდებული. გრიქუროვს გუშინ ბოლო პოლონური ვარჯიშისას დავურეკეთ*

— 15 იანვრიდან აქ ვართ. პოლონეთში წლების განმავლობაში ვცხოვრობდი და ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ურთიერთობები ძალიან დამეხმარა შეკრების მოწყობაში. ნაკრები საუკეთესო პირობებში ემზადება.

— პოლონეთის ნაკრებთან ერთადაც ხომ არ გივარჯიშიათ?

— ძირითადად ჩვენთვის ვემზადებოდით, თუმც შეკრების ერთი ნაწილი აქაური ნაკრების ლიდერებთან ერთადაც გავატარეთ.

— ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა აქედანვე ცნობილია?

— ადვილი გამოსაცნობია, აქცენტს ამ ხუთეულზე ვაკეთებ, მაგრამ ალბათ ერთი-ორი მაინც დაგვაკლდება. არსენ კასაბიევმა პოლონური შეკრების დაწყებამდე მუხლზე საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და სხვებზე ნაკლებად დავტვირთე. ალბერტ კუზილოვს კი საქართველოს ნაკრების სახელით გამოსვლის უფლება რუსებმა უნდა მისცენ.

— მეორე შეკრებას ლიტვაში გეგმავდით. როდის წაზვალთ?

— გეგმა შევცვალეთ. თბილისში ორი კვირა გავჩერდებით და მერე ლიტვის ნაცვლად ისევ პოლონეთში დავბრუნდებით. ევროპის ჩემპიონატი პოლონეთშია და ჯობს, ბიჭები აქაურ ატმოსფეროს შეეგუონ.

— ევროპამდე ტურნირზე გასვლასაც ხომ არ გეგმავთ?

— ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, თუ საჭიროება მოითხოვს... ალბათ ერთ ტურნირზე მაინც გავიყვან ბიჭებს, გამოცდილება რომ მიიღონ.

— შარშანდელი სეზონის შემაჯამებელ ინტერვიუში გვითხარით, რომ ამ სეზონიდან ასანიძეც სერიოზულად დაიწყებდა ვარჯიშს...

— წლეულს გია ძალიან გვჭირდება. სექტემბრის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა წავიყვანოთ. იქამდე ფორმა უნდა აკრიფოს. უკვე ვარჯიშობს კიდეც, ამჟამად კი ამერიკაშია, არნოლდ შვარცნეგერის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. მსოფლიოს ჩემპიონატზე სრული გუნდით ვაპირებთ ჩასვლას, რადგან ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება იწყება.

**ოთარ მალლაკელიძე**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

არსენ კასაბიევი



# დედის დღე დედაქალაქურად

3 მარტს, დედის დღეს თბილისის ჭადრაკის ფედერაციამ ჭადრაკის სასახლეში მოაწყო ქალთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა უძლიერესმა ქალმა მოჭადრაკემ, მაია ჩიბურდანიძის გარდა. ტურნირის სპონსორი იყო ჰიპერმარკეტი „გუდვილი", რომლის წარმომადგენელმა ფასიანი საჩუქრები გადასცა ხუთ გამარჯვებულს და ხუთ დედას.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



# ამელი და ვინჩი

**დოჰა. ყატარი**
**ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ნადია პეტროვა (რუსეთი, 2) — ნა ლი (ჩინეთი) — 6:4 6:4; ამელი მორესმო (საფრანგეთი, 1) — რობერტა ვინჩი (იტალია) — 6:4 6:0; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 6) — 7:6 6:2**

ქართული ანდაზა გეხსომებათ — „ხერხი სჯობია ღონესაო..." სწორედ, ასეთი წარმოდგენა იქმნება მარტინა ჰინგისისა და თანამედროვეობის სხვა ტოპმეჩოგნეების შეხვედრებისას. მინიატურულ შვეიცარიელს, ერთი შეხედვით, არანაირი შანსი არ უნდა ჰქონდეს ჯანღონიან ჩოგბურთელებთან, მაგრამ ჰინგისი ეშმაკური და ჩახლართული თამაშით ბევრს უმწარებს ცხოვრებას.

იგივე განმეორდა დოჰას მეოთხედფინალშიც, სადაც ჰინგისმა საათსა და 22 წუთში დასცა სვეტლანა კუზნეცოვა და ახლა წინ კიდევ უფრო რთული გამოცდა ელის ამელი მორესმოს სახით.

საერთოდ, ძალისმიერი ჩოგბურთელები, როგორც წესი, „შესაშური" სწორხაზოვნებით გამოირჩევიან, მაგრამ კუზნეცოვამ მაინც გადააჭარბა — რუსი მხოლოდ ძლიერად ურტყამდა, ამიტომაც მის თამაშში დამუშავებული კომბინაცია და იმპროვიზაციის ნასახიც კი არ ჩანდა.

ამის მიუხედავად, პირველი სეტი ძალიან გაჯანჯლდა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც რუსს სეტ-ბურთიც ჰქონდა, მაგრამ ჰინგისმა მაინც შეძლო მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა და პირველი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

მეორე სეტში ჰინგისმა კიდევ მოუმატა და კუზნეცოვას შანსი აღარ მისცა.



AFP ფოტო

„პირველ სეტში ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ მოვიგე და რწმენაც მომემატა. ვფიქრობ, თამაშის სადავეები თავიდან ბოლომდე ხელთ მეპყრა, გამარჯვების საწინდარი კი ჩემი კარგი მოწოდება გახდა" — განაცხადა ჰინგისმა.

შვეიცარიელის მომავალმა მეტოქემ ასევე ადვილად გადალახა მეოთხედფინალური ბარიერი. მორესმო ყველანაირად ეცდება, ჰინგისის დამარცხებას, რადგან დიდი მოტივაცია ამოძრავებს — ყატარში თუ იმარჯვა, რეიტინგსიის სათავეში წამოსკუპდება. ვინჩისთან მატჩზე კი ფრანგმა შემდეგი თქვა:

„მისი თამაშის სტილს არ ვიცნობდი და თავიდან ცოტა გამიჭირდა. აი, მეორე კი უპრობლემოდ ჩავათამაშე" — დარწმუნებულია ამელი საკუთარ ძალებში.

**დუბაი. არაბეთის გაერთიანებული საემიროები**
**ჰარდი**
**საპრიზო 1 000 000 $**

**მეოთხედფინალი**

**რაინერ შუტლერი (გერმანია) — ბიორნ ფო (გერმანია) — 6:4 6:1**

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — 6:2 6:3**

როჯერ ფედერერი მორიგი ტიტულისკენ მიჯირითებს და მისი შემჩერებელი ჯერ არავინ ჩანს. შვეიცარიელი დუბაის ფინალშიც ჩოგანჩაუხრელად გავიდა და ალბათ, ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ის იქაც იმარჯვებს. მით უმეტეს, რომ ტურნირის საწყისი მატჩებისგან განსხვავებით, როჯერმა აშკარად ტემპს მოუმატა და შეცდომებს უკლო.

მიხაილ იუჟნიმ მატჩის დასაწყისში ცოტა კი გაიფაფხურა და ფედერერის საწყის მოწოდებებზე მეტოქეს ნამდვილი ორთაბრძოლა შეჰკადრა, მაგრამ პირველი სეტის ბოლოსა და მეორეში შვეიცარიელის უპირატესობაში ეჭვი აღარავის შეუტანია.

„თავიდან კარგად ვერ ვაწოდებდი და მეტოქესაც შანსი მივეცი, მაგრამ თანდათან მოვუმატე და ფინალშიც გავედი. მთლიანობაში კარგი მატჩი ჩავატარე" — განაცხადა წლეულს ჯერაც უძლეველმა ფედერერმა.

**ქახა ლომაშვილი**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge